

140
1961

საბჭოთავო
საბჭოთავო
პიონერი 6
1961



ქიქეზა პირველი კოსმონავტი!



იური გაგარინი მშვიდობით დაბრუნდა

მას შემდეგ, რაც წარმატებით განახორციელა დასახული კვლევა და შეასრულა ფრენის პროგრამა, 1961 წლის 12 აპრილს 10 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა ხომალდი „აღმოსავლეთი“ მშვიდობიანად დაეშვა საბჭოთა კავშირის ნაევარულევ რაიონში.

მფრინველ-კოსმონავტმა გაგარინმა განაცხადა:

„გონივრულ მოახსენებთ პარტიასა და მთავრობას და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის, რომ დაშვება ნორმალურად განხორციელდა. თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა არ მომსვლია და არ დავშავებულვარ“.

საბჭოთა კოსმონავტს, რომელმაც პირველად მსოფლიოში განახორციელა კოსმოსური ფრენა

გაიორ იური ალექსის ძე გაგარინს

დიდ სიხარულს მგვრის მხურვალედ მოგილოცოთ შესანიშნავი გამარჯობა — პირველი კოსმოსური ფრენა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“.

მთელი საბჭოთა ხალხი აღტაცებულია თქვენი სახელოვანი გამარჯობით, რომელიც საუკუნოდ დარჩება როგორც მაგალითი მაცობის, გამბედაობისა და გამარჯობისა კაცობრიობის სამსახურისათვის.

ფრენამ, რომელიც თქვენ მოახდინეთ, ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის მიერ კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში და საბჭოთა ადამიანების გული ალავსო დიდი სიხარულითა და სიამაყით თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის.

სულითა და გულით გილოცავთ მშვიდობით დაბრუნებას კოსმოსური მოგზაურობიდან მშობლიურ დედამიწაზე. გეხვევით.

ნახვამდის მოსკოვში შეხვედრამდე.
ნ. ხრუშჩოვი

საბჭოთა კოსმოსი

ქვეყნის კოსმოსი!



ფრთხილი შეესხა კაცობრიობის საუკუნეობრივ ოცნებას, კოსმოსში გაფრინდა პირველი ადამიანი და ეს ადამიანი იყო საბჭოთა მოქალაქე.

1961 წლის 12 აპრილს დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი“, რომლის პილოტი-კოსმონავტი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, მფრინავი მაიორი იური ალექსის ძე გაგარინი.

კოსმოსურმა მრავალსაფეხურიანმა რაკეტამ სტარტი წარმატებით გაიარა, და პირველი კოსმოსური სიჩქარის განვითარებისა და მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურისაგან მოცილების შემდეგ თანამგზავრმა ხომალდმა დაიწყო თავისუფალი ფრენა დედამიწის გარშემო ორბიტაზე.

დედამიწის ზედაპირიდან თანამგზავრის მაქსიმალური სიმაღლე იყო 302 კილომეტრი.

კოსმონავტ ამხანაგ გაგარინთან დამუარებული იყო ორმხრივი რადიოკავშირი, რადიოტელემეტრიული და სატელევიზიო სისტემების დახმარებით. წარმოებდა დაკვირვება ფრენის დროს კოსმონავტის მდგომარეობაზე.

მას შემდეგ, რაც წარმატებით განხორციელდა დასახული კვლევა და შესრულდა ფრენის პროგრამა, ჩართული იქნა დასამუხრუჭებელი ძრავიანი დანადგარი და კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი“ მშვიდობიანად დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

მფრინავმა კოსმონავტმა შიორმა გაგარინმა განაცხადა: „გთხოვთ მოახსენოთ პარტიასა და მთავრობას და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვს, რომ დაშვება ნორმალურად განხორციელდა, თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა არ მომსვლია და არ დავშავებული ვარ“.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი და ბრწყინვალე გამარჯვება ელვის სისწრაფით მთელ მსოფლიოს. საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს ხალხები აღაფრთოვანა ამ უმაგალითო მიღწევამ და საბჭოთა მფრინავის გამირობამ.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მილოცვა გაუგზავნეს საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინერებს, ტექნიკოსებს, უველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ადამიანის პირველი კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებაში და პირველ საბჭოთა კოსმონავტს ამხანაგ იური ალექსის ძე გაგარინს.

გაზეთებში გამოქვეყნდა სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხებისადმი, უველა ქვეყნის ხალხებისა და მთავრობებისადმი, მთელი პროგრესული კაცობრიობისადმი.

„ამ საზეიმო დღეს, — ნათქვამია მიმართვაში, — კვლავ მივმართავთ უველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს მშვიდობის შესახებ მოწოდების სიტყვით.“

დაე უველა ადამიანმა, გაუფრთხილდა რასისა და ეროვნებისა, კანის ფერისა, სარწმუნოებისა და სოციალური კუთვნილებისა. ყოველი დონე იხმაროს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ბოლო მოვლათ გამაღებულ შეიარაღებასი განვახორციელოთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება! ეს იქნება გადამწყვეტი წვლილი მშვიდობის დაცვის წმიდათა წმიდა საქმეში“.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოკრ პიონერთა ორგანიზაციის ჩმსკუბლიკური საბჭოს პროპაგანდისტიკური საბავშვო უსკნალი

რედაქტორი რევაზ მარგაანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი XXXV

პიონერი 6 1961

ესიკოს ჩუბუბი

ბავშვალა მრავლიწილი

იაპონიაში წერო დღეგრძელობის სიმბოლოა. ატომური გამოსხივების მსხვერპლმა ხიროსიმელმა გოგონამ არა ერთი ასეული ქალაქის წერო გამოჭრა, — ბავშვს სჯეროდა, რომ განიკურნებოდა.

ცხოვრობდა ქვეყნად ერთი გოგონა, როგორც ალუბლის ნაზი ყვავილი, გადურჩა ბომბის ჭიკოკონას სამშვიდობოზე გამოყვანილი...

დარჩა ქვა-ქვაზე დაღუღებული და უარესი მაინც ეს იყო, — ცოცხლად დნებოდა ბავშვის სხეული, მოცეცილ ყვავილს ჰგავდა ესიკო.

...ბავშვს წოლით გული გადაეღია. სათნოების დას ცრემლი ერევა: — აჰა, ესიკო, მაკრატელი და წერო მოგვიტანს ბედნიერებას! —

წერო — სიმბოლო დღეგრძელობისა, უნდა გამოჭრას ნეტავ რამდენი, რომ შეეწუდეს ცრემლი მთელ მსოფლიოზე, ბავშვის უმანკო თვალთა ნადენი...

თავს იქცევ მხოლოდ, ბავშვო პატარავ, ტკივილს იუზრებ თავდავიწყებით? არა! სად იყო, უცხად, სად არა — წამოიშალნენ წეროს მწკრივები,

ფრთაშესხმულებმა გოგონას ხელით შეკრეს კამარა ცად ფრინველებმა — მოსპონ უოველგან გულცივი, ბნელი ატომურ ომის საშინელება.

გუნდი და გუნდი მიჰქრის წეროთა, კაცობრიობას დაჰყივის რისხვით: — ბავშვს ხომ სიკეთე ჩვენი სჯეროდა, რისთვის დაღუპეთ ესიკო, რისთვის?! —

სიცოცხლეს ვეღარ დაუბრუნდები, კარგო გოგონავ, იაპონელო! ამბობენ, შენი წეროს გუნდები დღესაც ლაფვარდებს მიაპობენო!

არ გვყავდეს ბავშვი შესაბრალები, — ვფიცავთ უმანკო მსხვერპლის წინაშე... ..ქალაქის წეროს ყელსაბამებით ძეგლი დგას დღესაც ხიროსიმაში.




ლინსგონ ჰიუსი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

საუკუნო დღე

იმ ზაფხულს სტანტონში ახალი პარკი გახსნეს. ეს იყო საუკეთესო პარკი მთელ ქალაქში. რა გასართობი გინდოდათ, — აქ არ ყოფილიყო: კინო თუ თეატრი, კარუსელი თუ ჯადოსნური ბორბალი!

სტანტონის გაზეთმა „დეილი ლიდამ“ გადაწყვიტა პოპულარიზაცია გაეწია ახალი პარკისათვის და ივლისის პირველ ნომერში განცხადება გამოაქვეყნა ბავშვთა დასვენებისა და გართობის დღის შესახებ, რაც ამ პარკში ოცდაექვს ივლისს ეწყობოდა.



„ოღონდ, ჩვენი მკითხველები უნდა გახდეთ, — წერდა „დეილი ლიდა“, — და წარმოადგინოთ ჩვენი გაზეთის ყველა ნომრიდან ამოჭრილი ტალონი — პირველი ან ოცდაექვსი ივლისის ჩათვლით. ბავშვებს, რომელთაც აღნიშნული ტალონები ექნებათ, შეეძლებათ უფასოდ დალიონ ლიმონათი და ისარგებლონ ყველა სახის გასართობით.

იმ დღიდან ზანგმა ბიჭუნამ სენდი როჯესმა და მისმა პატარა მეგობარმა ვილი-მეიმ რეგულარულად მიჰყვეს ხელი „დეილი ლიდადან“ ტალონების ამოჭრას. ასევე იქცეოდა თითქმის ყველა სტანტონელი ბავშვი, და მთელს ქალაქში პატარებს სალაპარაკოდ ესლა ჰქონდათ.

— რა საინტერესო იქნება! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ბავშვები.

— მჯდარხარ ოდესმე კარუსელზე?

— გინახავს ჯადოსნური ბორბალი?!

— იცი, რა კარგია! აღიხარ ჰაერში მალა, მთელ ქალაქს ზემოდან დასცქერი და მერე სწრაფად ძირს ეშვები!

ბოლოს, ნანატრი დღეც დადგა.

ვილი-მეიმ ჩაიცვა თეთრი კაბა და ახალი ყავისფერი ტუფლები, რომლებიც ფეხზე უჭერდნენ. სენდის ბებიამ, მისის ჰეჯერმა, ბიჭს პირი დაბანა და სუფთა ხალათი ჩააცვა: — თეთრ ბავშვებში იქნები, სუფთად უნდა გამოიყურებოდე! — თქვა მან.

ბავშვები გზას გაუდგნენ.

— სენდი, ტალონების წაღება ხომ არ დაგავიწყდა? — გასძახა ბიცოლა ჰეჯერმა.

— უპ, მავიწყდებოდა! — თქვა სენდი და დაბრუნდა, — კიდევ კარგი, რომ დამიძახა, — უთხრა სენდიმ გოგონას, — თორემ ტალონების გარეშე ვინ შეგვიშვებდა პარკში?!

პარკამდე კარგა გზა იყო გასავლელი. მალე ვილი-მეის ტუფლებმა ფეხები ატკინეს — გაიხადა. პარკამდე ფეხშიშველმა იარა, ტუფლები ხელით მიჰქონდა. პარკს რომ მიუახლოვდნენ, ფეხზე ჩაიცვა. ნელა გაემართნენ შესასვლელი-საკენ. ვილი-მეის მკერდზე მიეხუტებინა ტალონები.

მუსიკის გრიალი და ბავშვების ჟრიაბული მოესმათ. დაინახეს ვებერთელა ჯადოსნური ბორბალი, რომელიც მალა ჰაერში ტრიალებდა. ჭიშკრიდან კარუსელიც შენიშნეს.

— მე დღეს პირველად ვჯდები კარუსელზე და ჯადოსნურ ბორბალზე, — თქვა სენდიმ...

ჭიშკართან გუნდ-გუნდად იდგნენ ბავშვები — სუფთად-ჩაცმულნი, მშვენიერი თეთრი ბავშვები; რიგში ჩამდგარიყვნენ, საუბრობდნენ და იცინოდნენ. სენდიმ გოგონა წინ დაიყენა და რიგში ჩადგა.

რიგი სწრაფად მიიწეოდა წინ. ისინი ახლა თითქმის ჭიშკართან იყვნენ, მათ წინ ორი ბიჭილა იდგა. აი, ვილი-მეის რიგმაც მოაღწია. ტალონები გაუწოდა ჭიშკარში მდგომ კაცს...

კაცმა თავი დახარა:

— ვწუხვარ, — თქვა მან, — ეს დღესასწაული მხოლოდ თეთრი ბავშვებისთვის არის...

ვილი-მეის ვერაფერი გაეგო, იდგა ტალონებგაწვდილი. „რატომ არ გამომართმევს თეთრი კაცი ტალონებს?“ — ფიქრობდა ის.

— უკან მიდექით ორთავენი! — თქვა კაცმა და სენდისაც გადახედა, — თქვენ გეუბნებით, პატარა ზანგებო! ეს არ არის თქვენი დღესასწაული! აბა, შემდეგი!


თეთრი ბავშვების რიგმა სწრაფად ჩაუარა ვილი-მეისა და სენდის.

განზე დარჩა ორი ბავშვი. ახალა შენიშნეს მათ მოშორებით შვაკანიანი ბავშვების ჯგუფი; მათ შორის იყო ჯონ ბუ-ლერიც — სენდის სკოლის ამხანაგი. სამი თუ ოთხი ბავშვი ტიროდა, ხოლო დანარჩენები გაბრაზებულნი გამოიყურებოდნენ.

— მამაჩემი „დეილი-ლიდას“ იღებს, თან წამოვიღე გაზეთი ნახეთ რა წერია შიგ, — თქვა ჯონმა, — „ბავშვებს, რომელთაც აღნიშნული ტალონები ექნებათ, შეეძლებათ უფასოდ დალიონ ლიმონათი და ისარგებლონ ყველა სახის გასართობით“... სენდი, შენ არ წავიკითხავს განა?

— რა თქმა უნდა, წავიკითხე, მაგრამ ხომ ხედავ, არ გვიშვებენ, — უპასუხა სენდიმ და ნაღვლიანად გადახედა თეთრ ბავშვებს, რომლებიც ჭიშკარში შემოდოდნენ.

ხუთ თუ ექვს ზანგის გოგონასთან ერთად უკანვე გამობრუნდნენ.



მუსიკის გრიალი და ბავშვების ჟრიაბული მოესმათ, ჭიშკრიდან კარუსელიც შენიშნეს.



ყველანი სადღესასწაულოდ იყვნენ გამოწყობილნი. ვილი-
მეი მიწაზე დაჯდა, ფეხზე გაიხადა და მწარედ ატირდა.
სენდომ თავისი თანაკლასელი თეთრკანიანი ერლი დაინა-
ხა. ბიჭი მისკენ გამოეშურა.

— რა მოხდა, სენდი! რატომ არ შედიხართ პარკში? ან
გოგონა რატომ ტირის? ფეხი ხომ არ დაიშავა?

— არა.—უთხრა სენდომ,—ჩვენ აღარ შევდივართ პარკში.
შენ გქონდეს, ერლი, ჩემი ტალონები. ზედმეტი ტალონისათ-
ვის, აკი გაზეთში ეწერა, მეტი ლიმონათი შეგიძლია დალიო.
გამომართვი!

თეთრმა ბიჭუნამ არ იცოდა რა ეპასუხა სენდისათვის. ტა-
ლონები გამოართვა, რამდენიმე წუთს ჩუმად იდგა, შემდეგ
ნელა გაემართა პარკისაკენ.

ზანგი ბავშვები სახლის გზას გაუდგნენ. ზურგსუკან მუსი-
კის გრიალი და თეთრი ბავშვების სიცილი ესმოდათ. პარკი-
საკენ მიმავალ ზანგის ბავშვებს უკან აბრუნებდნენ და ეუბ-
ნებოდნენ:

— ნუ მიდიხართ! დღესასწაული მხოლოდ თეთრი ბავშ-
ვებისთვის არის!

თარგმნა თამარ სულხანიშვილმა



მ

ადგა მშვენიერი ზაფხული —
ლი ზაფხული.

მშობლიურ ქალაქში ჩამოცხა, მიიწურა
უკანასკნელი გაცვეთილი. უკანასკნელად ჩა-
მოჰკრა ზარმა და... მშვიდობით საყვარელო

სკოლავ, მერხებო, კრიალა დაფავ!

მაგრამ განა ყველაფერს ეტყვი: „მშვიდობით“?
ისევ საინტერესო, პიონერული ცხოვრებისაკენ არ გი-
ხმობთ დაფდაფები? ახლა მშობლიურ მთასა და ბარს
მოედებით. გაშლით კარგებს, აღმართავთ პიონერულ
ანძას, გამწკრივდებით ხაზზე, შემოუხსნდებით კოცონს...
ამიტომ ეწოდება ამ ზაფხულსაც „პიონერული ზაფხუ-
ლი“!

მზადება პიონერული ზაფხულისათვის ერთ რაზმე-
ულში რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს. რაზმის საბჭომ
ანკეტები ჩამოართვა. ანკეტაში რამდენიმე კითხვა იყო
დასმული. აი, ისინიც:

სად გაატარებ ზაფხულს? რა გინდა გააკეთო იქ?
ახალს რას შეისწავლი?

იფიქრეს, იფიქრეს პიონერებმა და მერე შევსებული
ანკეტა წარუდგინეს საბჭოს. უმრავლესობა ბანაკში
აპირებდა წასვლას. რაც შეეხება დანარჩენ ორ კითხვას,
ექ პიონერები სხვადასხვანაირად პასუხობდნენ. ზოგს
უნდოდა ბანაკში ფეხბურთელთა გუნდი ჩამოეყალი-
ბებოდა, ზოგს პეპლების კოლექცია იტაცებდა, ზოგი
ფოტოსაქმის შესწავლას აპირებდა, ზოგი კი — ქარგვისას,
ზოგს სურდა მეზობელ კოლმეურნეობას დახმარებოდა,
ზოგს კი ექსკურსია იზიდავდა.

იყვნენ ისეთები, რომლებიც სოფლად ბებიასთან
აპირებდნენ ზაფხულის გატარებას. იყვნენ ისეთებიც,
რომლებიც მშობლებს მიყავდათ სააგარაკოდ. რაზმის
საბჭომ ისინი უყურადღებოდ არ დატოვა, არ დაამორა
პიონერთა ძირითად საქმიანობას. დაეხმარა მეგობრებს,
მისცა დავალება. ერთ ბიჭუნას, რომელიც მორეულ
ქალაქში მიდიოდა. რაზმის საბჭომ ურჩია — იმ ქალაქი-
დან სკოლის მუზეუმისათვის საინტერესო ექსპონატები,
ჩანაწერები, ფოტოები, ან ჩანახატები ჩამოიტანეო.
პატარა გოგონას კი, რომელსაც სოფლად ბებიასთან მი-
უხაროდა, პიონერხელმძღვანელმა დაავალა: მიდი, ხანდა-
ხან მიუხეცი მოხუცებს, რამდენ საინტერესო რამეს ვიამ-
ბობენ, რამდენ ზღაპრებსა და ხალხურ ლექსებს ჩაგირაკ-
რაკებენ ისინი. აილე რვეული, ჩაწერე მათი ნაამბობი,
მერე კი რაზმს გააცანი შენი სოფლის ზეპირსიტყვი-
ერება. რამდენი ამნაირი დავალებით გაუდგნენ ბავშვები
გზას. გზამშვიდობისას უსურვებენ უფროსები, საქმეში
წარმატებასა და მუყაითობას.

გასულ ზაფხულს ვახტანგის დედამ ბიჭი რატომღაც
არ გაუშვა ბანაკში, არც სოფლად დაგზავნა. მან მთიანი,
წიწვანარი შემოსილი აგარაკი არჩია. რა სჯობია სუფთა,
ჯანსაღ ჰაერს, მინერალურ წყლებს. აკი შორი ქალაქიდან
მოსულ პიონერებსაც იქ დაედგათ თავისი კარვები. იქაც
აღემართათ ანძა. ყოველდღით საყვირი ალვიძებდა ბა-
ნაკს. ვახტანგსაც შეეძლო ჩაბმულიყო ბანაკის ცხოვრე-
ბაში. მაგრამ, რატომღაც ასე არ მოხდა. „თუ დასვენებაა,
დასვენება იყოსო“, — იფიქრა ბიჭმა და ხეებზე ჰამაკი
ჩამოაბა. გამოიტანა ქალაქიდან წამოღებული წიგნების
დასტა და კითხვას შეუდგა. კარგია კითხვა, მაგრამ ყველა-
ფერს თავისი ზომა აქვს. დილიდან საღამომდე იწყალე-
ბდა თვალს ვახტანგი. მერე, თუ შეატყობდა, დავიღალეო,
გადაწვებოდა ჰამაკში, თვალს ნაძვის კენწეროებს გაუ-
სწორებდა და ამტქნარებდა. დედა მზრუნველად დატრა-
ალებდა თავს. მზამზარეული მოქონდა შემწვარიც და



ქონერული ზაფხული

მოხრაკულიც. მთელი ზაფხული ისე წავიდა, რომ ვახტანგმა ერთხელაც არ იგემა ტყეში სახელდახელოდ მომზადებული სალაშქრო სადილი, ნაკვერცხლებზე ვერ შეწვა თავისი ნაპოვარი სოკო, ვერ დაღალა სამგზავრო ჩანთამ, ვერ დაასველა უეცარმა შხაპუნამ.

დაისვენა ვახტანგმა, ისე დაისვენა, რომ კანში აღარ ეტეოდა. როცა სექტემბრის დილა გათენდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის შეცდომას. რაზმს მზეზე გატრუსული, გაკაუებული, ტანაყრილი მეგობრები დაუბრუნდნენ. რამდენ საინტერესო რამეს ჰყვებოდნენ ისინი. ვახტანგი კი რალაც დონდლოდ, მოშვებულად მიუჯდა მერხს. გოგონებმა მუჭლოგუნე ჰკრეს ერთმანეთს და ეშმაკურად ჩაუცინეს. ერთმა ისიც კი გაუბედა: „აი, შე ხოზიკო“.

მწარედ ახსოვდა ვახტანგს შარშანდელი ზაფხული. ამიტომ წელს ქვა აავლო და თავი შეუშვირა: აგარაკზე წასვლა არ ისურვა. ანკეტის კითხვას: „სად აპირებ ზაფხულის გატარებას?“ ვახტანგმა მიაწერა: „ბანაკში, მხოლოდ ბანაკში!“

მაშ წავყვეთ ვახტანგს და მის მეგობრებს ბანაკში. ვნახოთ, რა გააკეთეს თუნდაც ამ ერთი თვის განმავლობაში. პიონერებმა რამდენიმე თამაში შეისწავლეს; ვახტანგს ყველაზე მეტად „ზუსტი ტელეგრაფი“ მოეწონა. აბა, თქვენც ეცადეთ და შეისწავლეთ ეს თამაში!


ჯერ ეცადეთ, დაეუფლოთ სატელეგრაფო ანბანს. მერე მანძილზე მათი გადაცემისათვის ალმების გამოყენებაც შესძელით. ახლა შეგიძლიათ თამაშის დაწყებაც: დაეწყვეთ ისე, რომ 10-12 მეტრით იყოთ ერთმანეთისაგან დაშორებული. მოიმარჯვეთ ქალაქი და ფანქარი. ხელმძღვანელი, რომელიც ასიოდე მეტრითაა თქვენგან დაშორებული გადმოგცემთ მთელ ფრანსს (მაგალითად: „კარგია პიონერული ზაფხული!“), რა თქმა უნდა, სიგნალებით, ალმის დახმარებით წერით ამ ფრანსს, ხოლო შემდეგ გადაგყავთ ჩვეულებრივ ტექსტზე. ამ თამაშიდან გამარჯვებული ის გამოდის, ვინც ყველაზე ადრე ჩააბარებს ხელმძღვანელს თავის მიერ გაშიფრულ წინადადებას.

საბანაკო ცხოვრებაში, რომელიც სავსე იყო სპორტული დილებით, ლაშქრობებით, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებით თუ კარნავალებით, ერთი წუთითაც არავის დავიწყებია, რომ აქაც შეიძლებოდა პიონერული საფეხურების დაუფლება.

„შეასრულე თუ არა მეორე საფეხურის დავლება: გააკეთე თუ არა რაიმე ნივთი სკოლის, სახლის დასახმარებლად?“ — ეწერა იმ განცხადებაში, რომელიც ცაცხვის ხეზე გააკრა რაზმის საბჭომ. ამ ხის გვერდით ხომ ხელმარჯვეთა კუთხე იყო მოწყობილი. ხელმარჯვეთა კუთხე 12 საათზე იწყებდა მუშაობას. ვახტანგს გაახსენდა, რომ რაზმში გოგონებს გულით უნდოდათ მწერებისა და მინერალების კოლექციის შედგენა. აგროვებდნენ კიდევ მერე სულ ერთმანეთში აერიათ გამხმარი პეპლები, ჭიამაიები და მინერალები. და ვახტანგმა გადაწყვიტა, რამდენიმე მუყაოს სპეციალური ყუთი გაეკეთებია გოგონებისათვის. ხელმარჯვეთა კუთხეში ვახტანგმა, ოსტატის დახმარებით, მალე დაამზადა ეს ყუთები, ზემოდან მინა გადააფარა და კოლექციონერებს ურჩია, მინერალის სხვადასხვა ჯიში ცალ-ცალკე მახსოვფილებაში ჩააწყეთო, თანაც ქვეშ ბამბა დაუფინეთო. ძალიან გაიხარეს გოგონებმა.

ვახტანგსა და მის მეგობრებს ძალიან შეუყვარდათ რაზმის ხელმძღვანელი. „ბუნებასთან ადამიანი ყოველთვის ახლო უნდა იყოს“ — ამბობდა ნათელა ხელმძღვანელი და მართლაც ბავშვები შეყავდა ბუნების წიაღში. „ახ, რა ლამაზია!“ ხშირად წამოცდენიათ პიონერებს, როცა ბორცვიდან გადაჰყურებდნენ მწვანეში ჩაფლულ დაბლობს, ატეხილ ტყეს, ვერცხლისფერ მდინარეს. ნა-





პიონერები მარტო ექსკურსიით არ დაკმაყოფილდებიან. ისინი ხშირად ფერმას ესტუმრებიან და კოლმეურნეებს ეხმარებიან.

როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესოდ გაიარა ვახტანგისათვის ბანაკში გატარებულმა პირველმა თვემ. მთქნარებისათვის წუთიც არ დარჩენია. მაგრამ კითხვისათვის კი ყოველთვის იტოვებდა დროს. მას ბანაკის ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა ახალი, პიონერული ჟურნალები, წიგნები, და მეგობრებთან ერთად მიუჭლებოდა მრგვალ საველე მაგიდას. როცა დედა ვახტანგის სანახავად ჩამოვიდა, გაკვირვებული შეჰყურებდა შვილს. ფერმკრთალი, ზღაპრული ბიჭის ნაცვლად, მის წინ მზით ალანძული, კუნთებგამავარებელი პიონერი იდგა. რაზემ ვახტანგის დედა სადილზე მიიპატიჟა. გრძელ, ნახევრადლია სასადილო ფარდულში მაგიდებს წითელყვასხვევიანები მისჯდომოდნენ. მორიგეები ტრიალებდნენ, წყარო-ალებდნენ ჩანგლები, კოვზები. მზარეულის ფანჯარაშიც წითელყვასხვევიანები მოჩანდნენ. ისინი თავისი ხელით ამზადებდნენ რაზმისათვის კერძს. და ვახტანგს გაახსენდა შარშანდელი ზაფხული: დედა თავს ფარვანასავით დატრიალებდა, თვითონ კი ბატონივით გადაწოლილიყო ჰამაკში და ხელსაც არ ანძრევდა. ალბათ, დედასაც გაახსენდა ეს ამბავი და ბიჭს ეშმაკურად გადახედა...

სალამოს, როცა ვახტანგი დედას ავტობუსის სადგურამდე მიჰყვდა, დედამ დაკვირვებულად შეათვალიერა იგი. მერე ჰკითხა: ახლა როგორ მოვიქცეთო.

—მე ისევ ბანაკში დარჩენა მინდა,— განაცხადა ბიჭმა და დედას არც გაჰკვირვებია.

მერე ვახტანგი ბანაკისაკენ ნაცნობ გზას გაუდგა. ეზოში კოცონი გიზგიზებდა. გარს პიონერები შემოსწოდნენ და სულგანაბული უგდებდნენ ყურს მოწვეულ სტუმარს — საბჭოთა მფრინავს. იგი ბავშვებს კოსმოსის დამპყრობ, მამაც საბჭოთა ადამიანზე მოუთხოვრებდა. ტკაცუნებდა, ნაპერწკლებს ჰყრიდა კოცონი და პიონერები, ამაყად, ოცნებით გაჰყურებდნენ სივრცეს!

ნაზი კილასონია

თელა ხელმძღვანელი კი ცდილობდა აეხსნა ბავშვებისათვის, რაში მდგომარეობს ეს სილამაზე, აეხსნა ბუნების კანონები, აეხსნა, თუ როგორ შეიძლება ამ სილამაზის გამოყენება. ნათელა ხელმძღვანელმა ასწავლა გოგონებს დაცვენილი გირჩებისაგან თოჯინების გაკეთება, ხავსის თუ გამხმარი ხის სოკოს დეკორატიული გამოყენება. იგი მარტო გარედან კი არ აჭვრეტინებდა ბავშვებს ტყის სილამაზეს, არამედ ტყეში ღრმად შეყავდა ისინი. ასწავლიდა თითოეული ხის გამოცნობას, ესაუბრებოდა მათ სასიცოცხლო პირობებზე, იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს ტყე ადამიანს? სამშენებლო მასალა, გემრიელი ხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები! ეს ყველაფერი ხომ ტყეში მოიპოვება!

ბანაკის ცხოვრებაში დიდი სილამაზე შექმნდა ექსკურსიებს. მაგრამ ბავშვებს განსაკუთრებით მეზობელი კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმა მოეწონათ. ფერმის მუშებმა ბევრი რამ საინტერესო გაცნეს: უფროსი ჯიშის ცხოველებზე, მათ განსაკუთრებულ მოვლაზე. უჩვენეს, როგორ წველიან ძროხებს ელექტრომანქანის დახმარებით, რა სუფთად ინახავენ მათ სადგომებს; რა შემადგენლობის საკვებს აძლევენ ცხოველებს.

ჩვენი შენს პიონერულ კანონებზე

არის წიგნები, რომლებიც მთელ სამყაროს შემოგატარებენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ საიდუმლოს გაგაცნობენ, აგაღებენ მოქმედი გმირების სახიფათო თავგადასავალით. სულ სხვანაირია ეს წიგნი — მასში შენთვის ნაცნობი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბებია აღწერილი, მაგრამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შენ მათ სულ სხვა თვალთ შეხედავ. წიგნი დაგეხმარება შენი და შენი თანატოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში დინახოს ისეთი რამ, რასაც კავშირი

აქვს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებასთან.

არა, არ ეგონა ვახტანგს, თუ დღესაც, მშვიდობიან დღეებში შეიძლებოდა გმირობის გამოჩენა და ეს გმირობა კი თურმე მოსწავლისათვის დღეს კარგად სწავლია.

არა, არ ეგონა რეზოს, თუ მერხის დაზიანება, მასზე სახელის ამოჭრა ასეთი დიდი დანაშაული იყო ქვეყნის წინაშე. იგი საკუთარ ჩანთას უფრთხილდებოდა სკოლის მერხს კი არა... წაიკითხავენ ამ სტრატეგიებს პიონერები — იქნებ რეზოსნაირები ან მისი ამხანაგები — და მიხედვით,

რომ სკოლის ინვენტარი ეს ჩემიცაა, შენიცაა, ერთი სიტყვით, ხალხის საკუთრებაა და მას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა.

ცხოვრებაში საჭირო და აუცილებელ კიდევ მრავალ საკითხზეა ნაამბობი წიგნში „აქედან იწყება შენი გზა“, რომელიც თქვენთვის დაწერა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორმა ვანო ცერცვაძემ. წიგნი თქვენს პიონერულ კანონებს ეხება. ეს წიგნი დაგეხმარებათ ღრმად ჩასწვდეთ მათ აზრს, და ცხოვრების მეშუარად გაიხადოთ ისინი.

გ. ბახტაძე



შესრულდა ასი წელი დიდი ინდოელი მწერლის, რაბინდრანათ თაგორის დაბადებიდან. თაგორის რომანები და პიესები, მოთხრობები და ზღაპრები, პოემები და ლექსები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. თაგორი ინდოელი ხალხის სიამაყე და მსოფლიო ლიტერატურის დიდი კლასიკოსია.


აღსანიშნავია თაგორის დიდი შრომისმოყვარეობა. თაგორი ბევრს წერდა, ბევრს მოგზაურობდა და მოღვაწეობდა. შემოიარა მთელი მსოფლიო. ძალზე აინტერესებდა მას დიდი საბჭოთა ქვეყანა; მოხუცებულობაში, 1930 წელს ინახულა იგი და აღტაცებული დარჩა.

თაგორს უყვარდა ბავშვები. საყურადღებოა, რომ მოსკოვში ყოფნისას დიდი მწერალი პიონერებსაც შეხვდა. «ყოველთვის მეხსომება მშვენიერი საღამო, რომელიც პიონერებთან გავატარე, — წერდა თაგორი შთაბეჭდილებათა წიგნში, — მე მათგან ბევრი რამ ვისწავლე, რაც დიდად სასარგებლო იქნება ჩემი ხალხისა და ინდოეთისათვის. მთელი გულით თანავეგრძნობ ახალი ქვეყნის ამ ნორჩ მშენებლებს და წარმატებას ვუსურვებ მათ».

ჩაგრულთა ქომაგი და მეგობარი, ომების მტერი და მშვიდობის ქადაგი, კაცობრიობის უკეთეს მერმისზე მეოცნებე და მომღერალი — თაგორი იყო და რჩება დიდ მხატვრად და დიდ ჰუმანისტად.

ამიტომაც აღნიშნავს მთელი მსოფლიო, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, რაბინდრანათ თაგორის დაბადების ასი წლისთავს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ზღაპარს კრებულიდან, რომელიც თაგორმა მიუძღვნა თავის შვილიშვილს — კუსმის.



მნიშვნელოვანი ამბავი

რაბინდრანათ თაგორი

ზღაპარი

ერთხელ კუსმომ მთხოვა:
— ბაბუ, მიაბე, რა მოხდა ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი. ვნახოთ, თუ შესძლებ.

— რა გეწყობა, ვიამბობ, — ვუთხარი მე, — ყური დამიგდე.

... მაშინ ქვეყნად მშვიდობიანობა და სათნოება სუფევდა... მაგრამ ერთ ნავზე იალქანსა და ნიჩბებს ჩხუბი მოუვიდათ. ნიჩბები ხმაურით დაეძებდნენ მენავეს და, როცა იპოვეს, ასე უთხრეს: „მეტის ატანა აღარ შეგვიძლია. ეგ შენი იალქანი თავს გავიდა, ნახე როგორ იბერება, ცხვირს როგორ სწევსო. ძალიან მოსწონს თავი, აქო და მაღალი მდგომარეობა მიჭირავსო, და ჩვენ უმდაბლეს კასტას გვეძახის. ვითომ იმიტომ ვიყოთ მდაბიონი, რომ დღედაღამ ნავის ქვედა ნაწილში ვმუშაობთ და დაულალავად მივაპობთ წყალს, რომ ნავი წავიყვანოთ. ის კი არაფერზე ფიქრობს, არაფერზე ზრუნავს და თავის მეტი არაფერი არ ედარდება. ნუთუ ამიტომ ის ჩვენზე მაღალია? შენ გავგსაჯე, ვინ უფრო საჭიროა — ჩვენ, თუ ეგ კულდაბზიკა იალქანი. თუ ჩვენ უმდაბლესი არსებანი ვართ, მუშაობაზე ხელს ვიღებთ, ვნახოთ უჩვენოდ როგორ იმუშავებს შენი ნავი“.

უსიამოვნება არ შემხვდესო, მენავემ განზე გაიყვანა ნიჩბები და ჩურჩულით დაუწყო რწმუნება: „რა

ყურს უდგებთ ბებერი იალქნის ლაყბობას! ხომ იცით, როგორი პატივმოყვარეა. თქვენ ისეთი მაგრები ხართ, ისეთი საიმედოები, თქვენ რომ კარგად არ იმუშაოთ, ნავი დადგება, იალქანი კი, თუმცა თავი დიდად მოაქვს, პატარა გრიგალიც საკმარისია, რომ ჩაიფუშოს, ჩაიჭმუჭნოს და ბაქანზე ჩაიშალოს. მაშინ იცოცხლე, ხმა უწყდება, ლაყბობის თავი აღარ აქვს. თქვენ კი, ნიჩბებო, მწუხარებასა თუ სიხარულში, გაჭირვებასა თუ დაღმინებაში, აქა თუ სხვაგან, ჩემი ერთადერთი იმედი ხართ. ნუ გეწყინებათ, რომ მაღალია და იბერება; დროდადრო ამ დიდკაცური ქედმაღლობის ატანაც შეიძლება. ვინა თქვა, რომ თქვენ უმდაბლესი არსებანი ხართ!“

მენავეს ძალიან ეშინოდა, ვაი, თუ იალქანმა ჩემი სიტყვები გაიგონაო, და ახლა იალქანს ჩასჩურჩულა ყურში: „ბატონო ჩემო, აბა, შენ ვინ შეგედრება?! ვინ იტყვის, იმისათვის მუშაობდე, რომ ნავი წაიყვანო? ეგ ხომ შავი მუშების საქმეა. შენ მხოლოდ იმას აკეთებ, რაც შენ მოგესურვება, შენი მსახურნი კი

გმორჩილობენ; ხოლო, როცა იღლები, დასასვენებლად წამოწევი. ყური არ ათხოვო ამ ბრიყვი ნიჩბების სიტყვებს. ისე არიან დაბმულნი, რომ როგორც არ უნდა ეცადონ აწყვეტას, როგორც არ უნდა იტრილონ წყალში, მუშაობის მეტს ვერაფერს მოახერხებენო.

რა გაიგონა ასეთი ქება, იალქანი კიდევ უფრო გაიბერა, ცამედიდურად, მთქნარებით დაუწყო ცქერა ცასა და ღრუბლებს.

მაგრამ აი, ამინდი შეიკვალა. ნიჩბები ძვალმსხვილნი არიან. ჯერ კიდევ მორჩილად ხრიან ქედს, მაგრამ დღეს თუ არა ხვალ თავს აიღებენ, მაგრად მიბეგვავენ მეტიჩარა იალქანს და გათელავენ. და მაშინ ყველა გაიგებს, რომ ქარიშხალსა და უამინდობაში, მოქცევისა თუ უკუქცევის დროს, მხოლოდ ნიჩბებს მიჰყავდათ ნავი.

კუსმი გაოცდა:

— აბა, აქ რა არის მნიშვნელოვანი? ხუმრობ, ბაბუა?

ბაბუამ კი ასე უპასუხა:

— ახლა ეს ხუმრობასა ჰგავს, მაგრამ მალე, სულ მალე, ზღაპარი სინამდვილედ იქცევა, დიდ სინამდვილედ.

— მაშინ შენ რას გააკეთებ, ბაბუ?

— მაშინ შენი ბაბუა მუშა-ნიჩბების ტაქტს ააყოლებს ხმას.

თარგმნა ც. გამყრელიძემ



თორემ საცრით
ოკეანეს დატლის.
გიგი ტანად საშუალოზე
მაღალია ოდნავ
და ამაყობს გიგი-ბიჭით
გიგაურთა მოდგმა.
გიგის ცხვირი სწორი აქვს და
თმები ზორბლისფერი,
გიგის ხმა აქვს საამური,
სალამურზე მღერის.
საუბარი ნელი იცის,
სიარული — წყნარი,
გიგის თვალი
ჩვენ ლურჯი
ზეცის ფერი არის.
გიგი ღვინოს გამოგიტანს,
რომ მოსთხოვო წყალი,
ერთი სიტყვით, გიგი კარგი
მასპინძელიც არის.
გიგის მკერდში
მთა გული აქვს,
მთიელია თანაც,
გიგის ძველი ბერდანკა აქვს
და მთიური დანა.
აქვს კომბალი,
ეს კომბალიც
გიგომ გამოსთალა.
...და ჰყავს ძაღლი — „ალმაცერა“
ძაღლი იმისთანა,
რომ გიგით, ფარას ცხვრისას
ყველგან დასდევს თანა.

ჯანსუღ ჩაჩაქვიანი

ნახ. მ. დაუშვილისა

ბიბი

...
ჰეიგედი,
ჩვენი გიგი
დალესტანში დადის,
ჰეიგედი,
ჩვენი გიგი
ნოლაიზე დადის...
ნაბდის ქული ახურავს და
მოსასხამიც ნაბდის.
ჰეიგედი,
ყელი გიგის,
როგორც ლერწმის ღერი,
ჰეიგედი,
ჩვენი გიგი
სალამურზე მღერის —
„დალესტანში ერთი კაი

მე ამ ამბავს ვიხეც ვყვები,
მეცხვარეა იგი,
გვარი მისი — გიგაური,
სახელი კი — გიგი.
ის ქალაქში არა ცხოვრობს,
იგი ცხოვრობს სოფლად
და ქალაქში იშვიათად
მას უხდება ყოფნა.
გიგომ იცის ჭიდაობა;
გიგომ იცის სროლაც,
გიგომ შარშან დაამთავრა
ფრიაღებზე სკოლა,
გიგი-ბიჭი ინსტიტუტში
დაუსწრებლად სწავლობს;
მართლა სწავლობს,

ზოგ-ზოგივით
განა თვლემს და წვალობს.
სოფლად გიგი ცნობილია,
როგორც გამრჯე კაცი,
სოფლად გიგი ცნობილია,
როგორც ტკბილი კაცი,
მაგრამ როცა საჭიროა
გიგი არის მკაცრი...
რასაც იტყვის კანონია,
შეასრულებს კიდევ,
რა საქმეა ისეთი, რომ
გიგის გაუკვირდეს.
...და გიგიზე ასე ამბობს
სოფლად ყველა კაცი —
„გიგომ არ თქვას,



მეცხვარეა თურმე,
 ყველა მწყემსებს აჯობებს და
 სახლში გაისტუმრებს.
 ახლა თურმე დუნიანზე
 ცნობილია იგი,
 მაგრამ გიგიმ ვერ აჯობოს?
 მაშინ მოკვდეს გიგი.
 ჰე, მამულო, მოკვდები და
 შენთვის ავენთები,
 შენი მზერა მახარებს და
 შენი სხივით ვთბები.
 მატყლი, ხორცი,
 რძე და ერბო,
 შენი თქმის და ნების,
 ჰა, მამულო, ეს სიმდიდრე
 მშობლიური მთების.
 ხელში კაი მეცხვარისა
 ცხვარი როგორ გაწყდეს,
 ჰე, მამულო, დიდ სიმდიდრეს
 მე გაბირდები ამ წელს.
 მე გაბირდები,
 ერთი ვინმე
 ნაბდიანი კაცი,
 გიგიმ არ თქვას,
 თორემ საცრით
 ოკენეს დაცლის...



„აიკუაი პეუსაი“



...
 ჰეიგიდი,
 ყელი გიგის
 როგორც ლერწმის ღერი,
 ჰეიგიდი,
 ჩვენი გიგი
 სალამურზე მღერის —
 „დაღესტანში ერთი კაი
 მეცხვარეა თურმე,
 ყველა მწყემსებს აჯობებს და
 სახლში გაისტუმრებს.
 ახლა თურმე დუნიანზე
 ცნობილია იგი,
 მაგრამ გიგიმ ვერ აჯობოს —
 მაშინ მოკვდეს გიგი.
 ...
 ცხვარი უყვარს გიგი-ბიქს და
 გიგის უყვარს წიგნი,
 გაუმარჯოს გიგის ცხვარს და
 გაუმარჯოს გიგის!

კულისებში ფუსფუსია; სცენის
 მემანქანე, გამნათებელი, რეცევიზი-
 ტორი, გარდერობის გამგე, — თეი-
 თონ არიან მოსწავლეები. სცენა
 მზად არის, მაგრამ რეჟისორის თა-
 ნამემწე, 23-ე საშუალო სკოლის
 მე-9 კლასელი ნილი ხანიშვილი
 მაინც ამოწმებს ყველაფერს: არა-
 ფერი გამორჩეულ, არაფერი დაავიწყ-
 დეთ. ნორჩი თეატრის ენთუზიას-
 ტებს სცენის მოწყობაში ესმარება
 კულტსახლის თეატრალური კო-
 ლექტივის ორგანიზატორი ილო მა-
 თიაშვილი. როლების შემსრულებ-
 ლთა ჩაცმულობას, გრიმს, პარიკს
 ამოწმებს დღევანდელი წარმოდგე-
 ნის დამდგმელი რეჟისორი — სედა
 ჩუბინიძე, რომელმაც 1959 წელს
 დაამთავრა თბილისის თეატრალუ-
 რი კულტ-საგანმანათლებლედ სას-
 წავლებელი. იგი დიდი სიყვარუ-
 ლით დასტურალებს თავს ახალბედა
 მსახიობებს და რჩევა-დარიგებას
 აძლევს.

აი, სარკის წინ ზის კუსპარას
 როლის შემსრულებელი, 23-ე სკო-
 ლის მე-8 კლასის მოსწავლე ბესიკ
 კილასონია, რომელსაც გრიმს უკე-
 თებს მოზარდ მაყურებელთა რუსუ-
 ლი თეატრიდან მოწვეული ანა ნი-
 კოლოზის ასული ალექსიევა.
 დარბაზში მესამე ზარის ხმა აწყ-
 რიალდა.

სინათლე ჩაქრა. ავენსცენაზე
 მოსწავლეთა პირველ თეატრს სა-
 ზემოდ ხსნის ოქტომბრის რაიონის
 კომკავშირის რაიკომის მდივანი ბი-
 ძინა კარტოზია, რომელიც წარმატე-
 ბას უსურვებს ახალი, შესანიშნავი
 საქმის წამოწყებას.

როგორ ჩამოყალიბდა დასი, რა
 მიზანს ისახავს ეს თეატრი, ყოვე-
 ლივე ამის შესახებ მაყურებლებს
 ესაუბრა დ. კუჭაიძე.

— დღეს ჩვენთვის სიხარულისა
 და ზემის დღეა, იხსნება მოსწავ-
 ლეთა პირველი თეატრი, რომელიც
 საქართველოს ალკვ თბილისის ორ-
 განიზაციის ოქტომბრის რაიკომის
 და მ. გორაკის სახელობის კულტურ-
 ის სახლის გამგეობის ინიციატი-
 ვით შეიქმნა. ეს თეატრი გაზაფხუ-
 ლის პირველი მერცხალია ჩვენს
 რესპუბლიკაში, — ამბობს მომხსე-
 ნებელი.

1958 წელს გორაკის სახელობის
 კულტურის სახლში ჩამოყალიბდა
 ბავშვთა დრამატული წრე, რომელ-
 მაც ნორჩ მაყურებელთა პატივის-
 ცემა და სიყვარული დაიმსახურა.
 წრე თანდათან იკრებდა თავის გარ-
 შემო ნიჭიერ მოსწავლეებს და, სა-
 ბოლოოდ, ენერგიული მუშაობის
 შედეგად, ეს წრე მოსწავლეთა
 თვითმოქმედ კოლექტივად გადა-
 იქცა.



ქართული
თეატრული
კავშირები



28-ე სკოლის მირვიკლასელი ზ. კი-
ლასონია მალე დაამთავრებს გრიშის გა-
კეთებას. იგი კუსპარას როლის ასრულებს.

ამ თეატრის დებულება ითვალის-
წინებს: დასში მიღებული იქნება
მხოლოდ ის მოსწავლე, რომელიც
სწავლაში გამოირჩევა მაღალი აკა-
დემიური წარმატებით და სანიმუშო
დისციპლინით.

თეატრს ჰყავს სამხატვრო საბჭო
7 კაცის შემადგენლობით. რომელიც
იხილავს და ამტკიცებს რეპერ-
ტუარს, ანაწილებს როლებს და
ამოწმებს შემოქმედებითი მუშაობის
მიმდინარეობას.

უახლოეს ხანში წარმოდგენილი
იქნება გ. ნახუცრიშვილის პიესა
„აჩაყუნე“. რეპერტუარშია გ. შატ-
ბერაშვილის „ცეროს კლუბი“, შ. ბე-
რიანიძის „ნიმნების გასაუბრება“,
ლიუბიმოვის „თეთრა“ და სხვ.

თეატრის მიზანია შემოიკრიბოს
ნიჭიერი პიონერ-მოსწავლეები და
თავისი საუკეთესო დადგმები უჩ-
ვენოს როგორც თბილისის, ისე რა-
იონის მოსწავლეებს. ზაფხულობით
თეატრი მოემსახურება პიონერთა
ბანაკებს, რუსთავის, დუმეთის,
მცხეთის, გორის, სამგორის, თიანე-
თის და შორეული სოფლების ბავშ-
ვებს.

თავიანთ მისასაღმებელ სიტყვებში
თბილისის ორგანიზაციის მრავალმა
წარმომადგენელმა შემოქმედებითი
წარმატება უსურვა მოსწავლეთა
პირველ თეატრს და იმედი გამოთქ-
ვა, რომ იგი ბავშვების საყვარელ
თეატრად, ნორჩ მოსწავლეთა შე-
მოქმედებითი აღზრდის კერად გა-
დაიქცევა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. იწ-
ყება ალ. კაჭკაჭიშვილის პიესა „ამ-
ბავი ორი ბიჭისა“. მაყურებლები
მოუთმენლად ელიან ფარდის გახს-
ნას.

ოთხი მოქმედების მანძილზე დარ-
ბაზში დაუსრულებელი სიცილი და
მხიარულება იყო. ნორჩი დამსწრენი
ჰკიცხავდნენ ზარმაცებს, — გიგლას
და კუსპარას ოინებს, რომლებსაც
ბუნებრივად და დამაჯერებლად წარ-
მოგვიდგენდნენ დ. კუჭაიძე და ბ.
კილასონია. როლების ნიჭიერად შეს-
რულებისათვის მათ განსაკუთრებუ-
ლი წარმატება ხვდათ.

ცოცხლად და უბრალოდ ითამაშეს
თინასა და მზიას როლები ნ. ხანიაშ-
ვილმა და 33-ე სკოლის მე-8 კლა-
სელმა დოდო სტეფანოვამ. საბეჭ-
ტაკლის წარმატებას ხელი შეუწყვეს
სიმონის და ექიმის როლების შემს-

რულებლებმა—რკინიგზის მე-7 სკოლის
ლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა მ.
კერესელიძემ და გ. ვეზირიშვილმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ას-
მათის როლის შემსრულებელი სედა
ჩუბინიძე, რომელმაც მაყურებელთა
გულწრფელი ტაში დაიმსახურა. მან-
ვე საუკეთესოდ და გულისხმიერად
დადგა ეს წარმოდგენა.

უბრალოდ და გემოვნებით არის
საბეჭტაკლი გაფორმებული მხატვარ
შალვა ყორეოლაძის მიერ.

დამთავრდა წარმოდგენა, რომე-
ლიც მეტად გულთბილად მიიღეს
ბავშვებმა. მაყურებლები ერთმანეთს
უზიარებდნენ მიღებულ შთაბეჭდი-
ლებებს და თვითონვე დაასკვნიდ-
ნენ, თუ რა მოსდევს სიცრუეს, სი-
ზარმაცეს, უქნარობას და რა ემარ-
თება მას, ვისაც შრომა და სწავლა
არ უყვარს.

ამ სიხარულის და წარმატებას დი-
დი მღელვარებით განიცდიდა ამ კარ-
გი საქმის წამომწყები, გორკის სა-
ხელობის კულტურის სახლის დირექ-
ტორი გიორგი თევდორაძე, რომელ-
მაც ამაგი დასდო მოსწავლეთა თე-
ატრის დაბადებას.

წარმატებას გისურვებთ მოსწავ-
ლეთა თვითმოქმედი თეატრის ენთუ-
ზიასტებო, რომლებიც საქმით ცდი-
ლობით დაეხმარათ სკოლასა და
აღმზრდელებს მოსწავლეთა კომუ-
ნისტურად აღზრდის დიდ საქმეში.

ქ. გომიაშვილი

ფოტო გ. თიკანაძისა

მოსწავლეთა თეატრის დირექტორი,
28-ე სკოლის მოსწავლე დ. კუჭაიძე

რკინიგზის მე-7 სკოლის მოსწავლე
გ. ვეზირიშვილი ექიმის როლში.



რკინიგზის მე-7 სკოლის მოსწავლე
მ. კერესელიძე ხელოვნ. როლში.

ძევობა

სოსო იორაგაველი

ნახ. რ. ტუციტიძისა

მ ო ტ ხ რ ო ბ ა

ზაფხულობით, როდესაც სოფელში მივდიოდი ხოლმე დასასვენებლად, გაიგებდნენ თუ არა მეზობლის ბიჭები — ნიკუშა და გია ჩემს ჩასვლას, მაშინვე შემოირბენდნენ, მომინახულებდნენ და მერე მორიდებით გამახსენებდნენ ხოლმე:

— ძია ლადო! დაპირება ხომ არ დაგავიწყდათ?

ეს დაპირება კი ის გახლდათ, რომ მე მათ ჯერ კიდევ მაშინ შევპირდი, მდინარე ხმაურას სათავეზე წაგიყვანთ-მეთქი, როცა ათ-ათი წლისანი თუ იქნებოდნენ. ახლა ისინი ლამის უკვე დავაჯაკაცდნენ, აგერ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭებია, დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ასეთი მოგზაურობის მოწყობა, მაგრამ რატომღაც უჩემოდ ვერ გადაუწყვეტიათ და ველარც მე შევასრულე დაპირება.

გასულ ზაფხულს კი, როცა ისევ ჩემი პატარა ვენახის გათოხვნა და მორწყვა მოვიმიზეზე, ერთ დილით ნიკუშა და გია თოხებით ჩამომეჭრნენ და შუადღემდე ვენახს ბოლი გაადინეს. ხოლო იმავე დამით მთელი სარწყავი რუები ახლად გათოხნილ ვენახისათვის მიეგდოთ და, დილით რომ ჩავედი, შიგ სულ ტბორები დაეყენებინათ.


— ახლა რაღას იტყვით, ძია ლადო! არც ახლა გცალიათ? — შემომკრიჭეს ფეხებდაკარწყახებულმა ბიჭებმა და მეც გამეცინა. ან კი რაღა მეთქმოდა: მართალია, საქმეებზე მქონდა, მაგრამ მათი მომიზეზეება უკვე აღარ შეიძლებოდა და მალე წასასვლელად სამზადისს შევეუდექით.

პირველ რიგში სამივემ ჯარისკაცური საწვიმარ-კარავები ვიშოვეთ, რომ მოგზაურობის დროს თავი დაგვეფარა წვიმისაგან და, გარდა ამისა, თუ ვინცობაა ლამის გათევა მოგვიხდებოდა, გარეთ სადგომადაც გამოვიყენებდით. ასეთი საწვიმრები მოგზაურობისათვის მართლაც მეტად მოხერხებულია და სატარებლადაც მსუბუქია.

დანარჩენზე ბევრი აღარ გვიფიქრია. ხუთიოდე დღის საგზალი ჩავალაგეთ ზურგ-ჩანთებში და მდინარე ხმაურას სათავისაკენ გავუდექით გზას.

ჩემს ზურგჩანთას, გარდა საგზლისა, სამოციოდე გატენილი ვაზნაც ამძიმებდა და სანადირო თოფიც სამკილოგრამს იწონიდა, მაგრამ ეს თითქოს „ზედმეტი“ ტვირთი იმავე დროს დიდ ხალისს გვაძლევდა ტყე-ღრეში სასიარულოდ.

პირველ დღეს სულ ნაცნობ ადგილებში ვიარეთ, რომლებიც ჩვენი სოფლიდან ძალიან კარგად ჩანს, თუ მდინარე ხმაურას სათავისაკენ გავიხედავთ, და მაინც და მაინც ისეთი საინტერესო და მოულოდნელი არაფერი შეგვხვედრია, რასაც ამ მოგზაურობიდან ნიკუშა და გია მოელოდნენ.



სალამომ სწორედ დაბურული ტყეებით ჩაბნელებული ხეობის შესავალთან მოგვისწრო. სოფელი ჩვენი გზიდან არც ისე შორს იყო, მაგრამ, რაკი ზაფხულის თბილი არამე იდგა და არც წვიმა იყო მოსალოდნელი, გადავწყვიტეთ, პირველ ღამესვე გამოგვეყენებინა ჩვენი კარავები და აღარავინ შეგვეწყუხებინა.

გზის პირას ერთ ტოტებგაფარჩხულ წიფლის ქვეშ გავშალეთ კარავები, ცუცხლი დავანთეთ და ვაზშმის სამზადისს შევეუდექით. გზად გიას თივის ბულულები შეემჩნინა და, ვაზში რომ მოვათავეთ, იმის მოსატანად გაიქცა. მართლაც, მალე ერთი ისეთი ზურგულა თივა მოიტანა, რომ სამივეს გვეყო ქვეშგასასულიად. ნამგზავრები; სურნელოვან თივავუ მივწყვეით, მდინარის ჩხრიალი ნანინსავით ჩაგვესმოდა დაღლილებს და დილადაც ისეთი სიამოვნებით გვეძინა, თითქოს ხავერდის დორმუთაქებით მოგებულ ტახტებზე ვწოლილიყავით.

დილით, ჯერ არც კი გამოვსულიყავით კარავებიდან, რომ ერთი სამითა ჩანგლით შეიარაღებული ბერიკაცი დაგვადგა თავს, ეტყობოდა, კარავების მიხედვით სამხედროები ვეგონეთ და ამის გამო ცოტა გაუბედავად შეგვეხმაურა:

— ჰეი! რომლები ხართ აქ, კარავები რომ დაგიდიათო! — და ჩემს კარავში შემოიხედა. ხოლო, როცა დარწმუნდა, — სამხედროებს კარავების მეტი არაფერი გვიგავდა, ?-რიკაცმა ხმაში რიხი ჩაისვა და უფრო გაბედულად შემოგვძახა:

— თქვე კაი ხალხო! ე თივა თქვენთვის ხომ არ გავთიბე, რომ წამოგიღიათ?

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, კარვიდან გამოვფოროთხდი. ბოდიშში, ძია კაცო! გრილ მიწაზე დაძინებისა შეგვეშინდა და ერთი იღლია თივა მოვიტანეთ, ამისათვის ნუ გავვიწყრები-მეთქი. ასე ვამჯობინე, თორემ უქმებად რომ მეპასუხა მოხუცისათვის, ვინ იცნო რა ხასიათზე დამდგარიყო. ჩემმა ბოდიშმა მოხუცი მოალბო და მის დანაოჭებულ სახეზე სათნო ღიმილმა გადაიარა. ახლა კარავებიდან გამოსულ წამძინარევი ბიჭებს რომ მოაულო თვალი, თავისი უქმებად ნათქვამიც გაასწორა:

— არა შვილო, არა! თივაა, ოქრო ხომ არ ღრის! ისე, სიტყვამ მოიტანა და გითხარით, თორემ ასეთი მოზერებით ბიჭებისათვის რამე დაქენანება?! — და აღერისით უმზერდა ჩემს თანამგზავრებს.



მერე გამოგვკითხა, თუ ვინ ვიყავით, ან სად მივდიოდით და, როდესაც ვუთხარით, მდინარე ხმაურას სათავის სანახავად მივდივართ-მეთქი, მოხუცს გაეღიმა და ოღნავ გამოქირდავი კილოთი გვითხრა:

— ეეე... მოცლილი ხალხი იქნებით, შვილო, თორემ ამ ყელიჭრა მუშაობის დროს სათავეზე რა უნდა ნახოთ?! იქ ჯამბაზებს ხომ არ ათამაშებენ? პატარ-პატარა წყაროები ჩამოქრიალებენ კლდეებიდან, გროვდებიან, გროვდებიან და ბოლოს ე ჩვენი წყალი მოდის. ა, პა! მეტი იქ რა არის სანახავი?

ისე თქვა მოხუცმა, თითქოს მართლაც არაფერი ყოფილიყოს და სანახავად მისვლაც არა ღირებულებოდა. მაგრამ მოხუცის თქმა რაში გვჭირდებოდა, როცა ჩვენს თვალწინ უკვე ტყის ისეთი სურათები იყო გადაშლილი, თითქოს ქვეყანა, აი, ამ წუთში დაბადებულიყო. ქარხნის მიღებებით ცაში ატყორცნილი უზარმაზარი წიფლები, ტოტებგადახლართული უზარმაზარი რცხილები, მუხები, აქა-იქ იფნა, ნეკერჩხალი და ცაცხვი რომ შერევიან შიგ და მზის სხივებს არ აკარებენ მიწას — სწორედ ზღაპრულ სამოთხეს წარმოადგენდა.

თურმე საწყალი მდინარე ხმაურა არც ისეთი უსუსური ყოფილა, როგორც ჩვენ გვეგონა. ამაში მგზავრობის პირველ დღესვე დავრწმუნდით. მისი წყალი ერთ ათიოდე სოფელს მაინც ამოეკარა სარწყავ რუბეში და ბალ-ვენახები გაელანებინა. სამივენი ძალზე გაკვირვებულები დავრჩით: ან კი ისეთი როგორღა აღწევდა ჩვენს სოფლამდე, როგორსაც ვიცნობდით.

მოხუცს პაპიროსი შევთავაზე. კარვები ავკეცეთ, გამოვემშვიდობეთ და შეგუხუვეით სათავისაკენ. ჩემი ვარაუდით, რაც უნდა ნელა გვევლო, საღამომდე არსენას წისქვილამდე უნდა მიგვეღწია და ღამე იქ გავგეთია.

* * *

მაგრამ ჩემი თანამგზავრი ბიჭების გადამკიდემ გზას ბარაქა ვერ დავდე.

ეშმაკად ერთი ის წამომცდა, ახლა ჩვენს საგზალს უნდა გავუფრთხილდეთ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ჩადირისა და ფრინველის ხორცი უნდა გამოვიყენოთ საკვებად-მეთქი და, როცა ქედნების გუნდს დაინახავდნენ გადაფრენილს, ან გვროტების ღუნდს გაიგონებდნენ, წამგლეჯდნენ თოფს და დაედევნებოდნენ. სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, მეც ვიჭეძი და ველოდებოდი. აბა, უიმათოდ ხომ არ წავიდოდით?

შუადღე იქნებოდა, რომ ქედნების ერთმა ვეებერთელა გუნდმა თავზე გადაგვიარა. ხეცგაღმა ფერდობში ხმელი ცაცხვის ტოტებზე დასხდნენ და მთელი ხე ცისფრად შეხორხლეს.

აქამდე ბიჭები რიგრიგობით მიდიოდნენ ხოლმე ფრინველის მოსანადირებლად და არა ყოფილა შემთხვევა, — ერთმანეთს შესცილებოდნენ, ახლა კი ორივემ დაბლუჯა თოფი და ამტკიცებდნენ: არა ჩემი რიგია, არა ჩემიო.

— გაის რიგია, მაგრამ შენც წაპყევი ნიკო, იქნებ რამეში გამოადგე-მეთქი, — ვუთხარი და გზის პირას ჩამოვკეცი ისე, რომ ქედნებით დახუნძლული ხმელი ცაცხვი მხედველობის არეში მოვიქციე და თვალს ვადევნებდი, — რას იზამდნენ, დაატოვებინებდნენ რამეს ქედნების გუნდს, თუ ამაოდ მოიცარებოდნენ.

დაიფრთხილეს ქედნებმა და აფრინდნენ ისე, რომ თოფი არც ვაგარდნილა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მონადირეებმა საჭირო სიფრთხილედ ვერ დაიცვეს და, სანამ თო-

ფის სასროლ მანძილზე მიუახლოვდებოდნენ მოამკლავებს.

ქედნების გუნდი უკვე დიდი ხანია თვალს მოეფარა, ბიჭები კი არა და არ ჩანდნენ. მათ მოლოდინში ერთი ბებერი რცხილის ძირში მივდებულს კიდევაც მიმძინებოდა, ხოლო, როდესაც დაბრუნებულიყვნენ და გამაღვიძეს, — ორის მაგივრად სამი ბიჭი მადგა თავს. გამტკრებული შევეცქეროდი იმ მესამეს, რომელიც ხნოვანებით იმათი ტოლი თუ იქნებოდა.

უცნობს ტანზე გახუნებული მაისურა და ბრეზენტის შარვალი ეცვა, ხოლო ფეხებზე მანქანის საბურავის ძირიანი ჩუსტები. უქუდო თავზე კი ახლად ამოსული ჯაგარა ქოჩორი ზღარბივით აჰმეკოდა და ყმაწვილს უცნაურ შეხედულებას აძლევდა. მაგრამ ჩემი განცვიფრება მისმა იარაღმა და ნანადირევმა გამოიწვია:

ქამარზე ნამდვილ მონადირესავით ორი ქედანი და ჭრელი ჩხიკვი ჩამოეკიდა. ხოლო მის იარაღს ჩვეულებრივი, ორკაპა ჯოხზე დაკიდებული შურდული წარმოადგენდა.

— გამარჯობა! — მითხრა ყმაწვილმა თანატოლსავით და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს მეუბნებოდა — შენმა გაგზავნილმა მონადირეებმა თოფით ვერაფერი მოინადირეს, მე კი ჩემი შურდულით აბა, რა ბიჭობა ჩავინდინეო!

მე ასეთ პოზაში ბევრი მასზე მოზრდილიც მინახავს და არ გამკვირვებია, ოღონდ იმან დამაინტერესა, თუ როგორ ფლობდა იმ პრიმიტიულ იარაღს.

— აი, ამ ბიჭებმა არ დაინახეს, როგორ ჩამოვაგდე ქედანი?! — მითხრა ყმაწვილმა და გიას და ნიკოს გადახედა.

— ძია ლადო, ის იყო ვუახლოვდებოდით თოფის სასროლ მანძილზე, რომ გუნდი მოულოდნელად აფრინდა და ჩემი თვალთ დავინახე, როგორ მოწყდა ხმელი ცაცხვის კენწეროს ყველაზე დიდი ქედანი და ფართხუნით ჩამოვარდა ძირს. ახლოს რომ მივედი, ამ ბიჭს უკვე აეღო და ქამარზე იკიდებდა, — მითხრა გიამ.

— მე რომ მჭეროდა თოფი, ძია ლადო, აფრენილ გუნდს ვესროდი, მაგრამ... — ისევე თავისას ჩიოდა ნიკო.

— მოიცა, მოიცა, ნიკუშა! რა დავის ეგ არის?! რა გქვია ბიჭიკო? — შევეკითხე უცნობს.

— ჯაბა.
— ჯაბა! ძალიან გთხოვ ნუ დამზარდები და ერთი დამანახვე როგორ მოახვედრებ მიზანში. — ვუთხარი ბიჭს ალერსით.

— მაგაზე ადვილი რა არის? აი, შეგვხვდება რამე და ვესვრი.

ჯაბას ასეთი თანხმობის შემდეგ ყველამ ირგვლივ მიმოვიხედე, რომ რაიმე ფრინველი შეგვემჩინა და ამ უცნაური მონადირისათვის დაგვეჩვენებინა, მაგრამ საკვირველი რამ არის: როდესაც გვჭირდება რამე, სწორედ მაშინ გაწყვება. აქამდე რომ ტყე იყო გაყრუებული და ყურთასმენა იყო წაღებული ჩხიკვების ჩხავილით, ახლა მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო.

ისევ ერთი მოჭრილი ხის კუნძზე პაპიროსის ცარციელა კოლოფი დავდე, იქიდან ოციოდე ნაბიჯი გადავზომე და ვუთხარი ჯაბას: აი, თუ აქედან იმ კოლოფს შენი შურდულით ქვას მოახვედრებ, მაშინ ნამდვილი მსროლელი იქნები და ჩვენი ექსპედიციის წევრად ჩავთვლით-მეთქი.

ბიჭმა ჯერ ვერ გაიგო თუ რა ექსპედიცია გვქონდა, ვინ ვიყავით და ან სად მივდიოდით, ხოლო როდესაც

ნიკუშამ აუხსნა, მდინარის სათავეზე მივდივართ დასავლეთკუთხედში, ჯაბას სახე გაუბრწყინდა და მითხრა:

— მამ, სულ ლუკმა-ლუკმა არ ვაქცევ ამ შურდულს, რომ მაგოდენა ყუთს ვერ მოვარტყა?!

ესა თქვა და ჯიბიდან კენჭი ამოიღო, შურდულში ჩადო, მარჯვენა ხელით რეზინი უკან გამოჰკიმა და... კოლოფი კუნძიდან ელვასავით გაქრა. განცვიფრებულები დავრჩით.

— აი, ყოჩაღ, ჯაბა! წმდვილი მსროლელი ყოფილხარ-მეთქი!

ყველანი გოცებულნი ვიყავით იმ თმაჯაგარა ბიჭის ხელოვნებით. საუბრით განვვარბეთ გზა მდინარის აღმა, ცოტა რომ გავიარეთ, წინ ორი კაცი შემოგვხვდა, ჩვენი თანამგზავრი რომ დაინახეს, ორივეს სახეზე ღიმილმა გადაუარა. ერთმა შორიდანვე შემოსძახა:

— აი, შე დალლარა! შენ ხომ ამ ხეობაში უცხო ვერავენ შემოგეპარება და ყველას პირველი უნდა შეხვდე. დეპეშა ხომ არ დაგიკრეს!

ბიჭმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაიღიმა და ჩვენ გადმოგვხვდა. სალამზე სალამითვე ვუპასუხეთ და გზა განვვარბეთ.

ჩვენი თანამგზავრი — პანტიანელი ობოლი ბიჭი გამოდგა, ზაფხულის არდადეგებზე მეველედ მუშაობდა და ჩვენთან სიარული მუშაობაში ეთვლებოდა. კმაყოფილი მოაბიჯებდა, ამაყად მოჰქონდა თავისი ნანადირევი და, როცა ნიკომ და გიამ თავიანთი ხელოვანული ნადირობის გამო სინანული გამოთქვეს — ამ სალამოსთვის ვახშამი მანც გვემოგვანაო, ჯაბამ სულგრძელად თავისი ნანადირევი შესთავაზა:

— რას ამბობთ, ბიჭებო! აი, ვახშამი არ არის?! მეც ხომ თქვენთან უნდა წამოვიდე, ჩვენი ნანადირევი ვის გაუყვია?!

რაკი სალამოვდებოდა, უკვე იმის მსჯელობას შევუღლებით, თუ ღამე სად გაგვეთია, და ჯაბას დაწვრილებით ვაცნობა სხვა, უფრო შესაფერი დროისათვის გადავდე, რადგან იგი მანც ჩვენთან მოდიოდა და საჩქარო არაფერი იყო. გია და ნიკუშა ერთხმად მოითხოვდნენ, რომ ღამე ისევ ჩვენს პატარა კარვებში გაგვეთია. ჯაბამ კი მასპინძლად თავისი თავი შემოგვთავაზა, პანტიანში ავიდეთო.

— შენთან კი არა, ჯაბა, მაგრამ დილას მითხრეს სალამომდე წისქვილამდე ახვალთო და ღამეს იქ გაათევთო. ხომ არ იცი, ის წისქვილი აქედან შორს არის?

— რა ვიცი, თუნდა იქ წავიდეთ. არც ის არის შორს, სანამ კარგად დაბინდებოდეს, იქამდეც მივალთ, მაგრამ თუ საფქვევი გამოელა პაპა ლაზარეს და სახლში წავიდა, წისქვილი დაკეტილი დაგვხვდებაო... თუმცა არა უჭირს რაო, ამბობდა ბიჭი, წავიდეთ, წისქვილი დაკეტილიც რომ იყოს, ღია ფარდულია მესაფქვევებისათვის ღამის გასათევად, ტახტზე თივაა დაგებული, როცა შინ წასვლა დამეზარება ხოლმე, სულ იქა მძინავსო.

ბევრი აღარ იფიფიქრია. ფეხს ავუჩქარეთ და ღამის თერთმეტ საათზე პატარა, მბუხტავი შუქით განათებულ წისქვილის შენობას წავადექით, საიდან... სარეკელას რაკრაკი შემოგვესმა.

— პაპა ლაზარე! აქა ხარ? — შესძახა კარებიდან ჯაბამ და შევედით..

— რომელი ხარ, შვილო, ვერ გიცანს! — მოისმა მეწისქვილის ხმა.

— ჯაბა ვარ, პაპა ლაზარე, ჯაბა!

— ოჰ, შენა? სად დამეკარგე, ბიჭო! შიგნით შემოდი, მანდ რას გაჩერებულხარ? — უთხრა მონუცმა და



ჭრაქის სინათლე აბარბაცდა წისქვილში. ეტყობოდა, ჭრაქს ნამწვავები მოაცალეს.

ჯაბასთან ერთად ჩვენც რომ შევედით, მეწისქვილემ გაკვირვებით შემოგვხედა:

— ბიჭო! აქ სხვა სტუმრებიც ყოფილან! მობრძანდით მობრძანდით! — რომელ ტახტზედაც თვითონ იჯდა, ის გავგითავისუფლა და გვთხოვა დავმსხდარიყავით.

ბუხარში ცეცხლი ენთო და ზედადგარზე პატარა გამურული ქვებით სიმინდის ღეროლი თუხთუხებდა. მალე ჩვენც ვახშმის სამზადისს შევუდექით. ჯაბას ნანადირევი ბიჭებმა სასწრაფოდ გაასუფთავეს და ღეროლის ფაფის გვერდით, წისქვილში ჩახოხბილის საამო სურნელებაც დატრიალდა.

პაპა ლაზარე შესანიშნავი მასპინძელი გამოდგა. ვახშამზე საიდანლაც გრძელი, ძველებური კვარტიანით შეინდის არაყი გამოაძვრინა. მოზურის ყანწს ჯერ სული ჩაბერა, მერე შიგ ერთი ყლუპი არაყი ჩაასხა, ბუხარში შეაქცია და ბენზინით ააფეთქა.

ეტყობოდა, მეწისქვილემ ეს შნოს გულისათვის უფრო გააკეთა, დაგვენახა — აი, რა ცხარე არაყიაო, თორემ ყანწში გამოსავლებად წისქვილში წყალს ვერ იპოვნიდა? მაგრამ ყველაფერს თავისი შნო აქვს და ლაზარემაც იცოდა, რასაც აკეთებდა.

— ღმერთო, ქვეყნის გამჩენო! შენ შეეწიე ჩემს სტუმრებს, იმათ საქმეს, თავიანთ გზაზე სულ გამარჯვებულები ატარე და ყველგან ხელი მოუმართე! — თქვა მეწისქვილემ და ყანწი დასცალა. ჭაღარა უღვაშებზე ხელი გადაისვა, ახლა მე მომაწოდა სავსე ყანწი და თვითონ ლუკმას დასწვდა. შემდეგ ბიჭებთან საბოდიშოდ, არაყი რომ არ დააღვინა, ასეთი იგავი თქვა:

ბერიკაცი თვრეს,

ვაჟკაცს ცოტა ხვდეს,

ბავშვს რომ სული მრეღინოს,

ღმერთს თაყვანი სცეს!

არც ბიჭებს მოუთხოვნიათ არაყი. მათ მალე ივანშემს და ფარდულში დასაძინებლად წავიდნენ. მე და მე-

წისქვილე კი შევეყვით ლაპარაკს, თან დროგამოშვებით თითო ყანწს გადავკრავდით სოლმე.

* * *

ფარდულში ძილი მართლაც სასიამოვნო გამოდგა. სუფთა ჰაერზე წისქვილის დოლაბებს შეხლილი წყლის მზილი და სარეკელას გრუტუნის საამურ ძილისპირულად ჩამესოდა და მალეც ჩამეძინა.

განთიადისას ვუყუნა წვიმის ხმაურმა და სინესტემ გამომადგინა. ისეთი მზაპუნე გაუდიოდა, თითქოს ყავარს მათრახებსა სცემდნენო. ბიჭებსაც გამოეღვიძათ. გია და ნიკუშა ბუნების ამ აურზაურს თვალმბდაჭყეტილები შეჰყურებდნენ და მწყურბვივით განაბულიყვნენ, თითქოს ეშინოდათ, განძრევით, ან დალაპარაკებით ბუნების ეს დიდებული სიმფონია არ დარღვეულიყო.

ამ დროს ჯაბა ნაცადი კაცის იერით ორივე მეგობარს ღიმილით უმზერდა და მისი სახე უხმოდ გამოხატავდა სათქმელს: აი, ასეთი ლამაზი ადგილების პატრონები ვართო.

— მოგწონთ, ბიჭებო? — შევეკითხე მზერად და სმენადქცეულ ყმაწვილებს, რომლებმაც, თითქოს სიზმრიდან გამოერკვნენო, ისე შემომხედეს და პასუხად მხოლოდ გაიღმეს.


ფარდულიდან წისქვილში რომ მივედით, მეწისქვილე გაღიმებული შემოგვეგება. უხმოდ მივიდა კუთხეში, ხახალს ტომარა გადახადა და შემოგვძახა: აბა, შეხედეთ, რა მასპინძელი ვარ, ბიჭებო! — ვეებერთელა ხახალი სულ მტკავლის სიგრძე კალმახებით და საჭანარე ფიჩხულით იყო სავსე.

— ეს, წუხელის ცას რომ შევხედე და შევატყე, სათავეში ავდარს ეპირებოდა, ბევრი აღარ მიფიქრია, სახეთქალაზე ფაცერი დავუგე და ვიფიქრე: თუ წყალი აიმღვრა, უსათუოდ ამღვრეულ წყალს თევზი გამოჰყვება და ჩვენს ფაცერსაც მოჰყვება ჩვენი სამყოფი-მეთქი. აბა, ახლა თქვენ იცით, ბიჭებო! თევზი გამოწეულეთ, უჩემოთ კი ნუ მოხარშავთ, გარეცხეთ, ამ საათში აქ გავჩნდები. წყალია მოგარდნილი და სათავეს უნდა გადავხედო.

თევზი, რა თქმა უნდა, გავასუფთავეთ როგორც გვიოთხრა, მაგრამ, რაკი ჩემი თავის იმედი მქონდა, რომ ლაზარეზე ნაკლებად არც მე ვიყავი დახელოვნებული თევზის მოხარშვაში, მისთვის აღარ მომიცდია. მოხუცი როცა დაბრუნდა, ფიჩხული უკვე გაცივებულ ი ელაგა ხახალზე.



პაპა ლაზარე შესანიშნავი მასპინძელი გამოდგა.



ამ სურათის დამნახავმა მეწისქვილემ შუბლი შეიკრა, მაგრამ სანამ საყვედურს იტყოდა, მანამ თევზი შეგვიმოწმა: მოხარულ თევზს ბოლოთი დაიჭერდა და ასწევდა, გადატყდება თუ არაო. როდესაც ჩემმა მოხარულმა თევზმა გამოცდას გაუძლო, ლაზარეს მოღუშული სახე ისევ ღიმილით გაუნათდა და კმაყოფილებით თქვა:

— აი, ასე უნდა! თუ მოხარული თევზი გადატყდა ბოლოთი აწვევის დროს, ის კაპიკი არ ღირს, ბარაქალა! მართლა კარვად გამოგსვლია თორემ, ზოგიერთი ჩააფლავებს და ის რა შვილია!

მალე ხახალს გარშემო შემოვუსხედით. მასპინძელმა იმ ნაცნობი გრძელი კვარტიანით წინა ღამეს დარჩენილი არაყი ისევ მოიტანა და დილის მადლის შემწეობა გვისურვა.

ხოლო, როცა მე მალ-მალე ცას გავხედავდი ხოლმე იმ მიზნით, რომ გამეგო, გამოიდარებდა თუ არა, მეწისქვილემ თავისებურად უღვაშებზე ხელი გადაისვა, ჩაიღიმა და მითხრა:

— შვილო, ლადო, ტყუილად იყურები! ამ დილას ეს ავდარი სწორედ ძაღლის ძილის დროს დაიწყო და თავად დღისწორამდე, თორემ ორს-სამ დღეს ხომ მაინც გააძაღლებს ამინდს, ამას ლაპარაკი არ უნდა!

ჯერ ვერ გავიგე თუ რას ნიშნავდა „ძაღლის ძილის დრო“ და ან როდის იძინებს ძაღლი. ამაზე ლაზარეს გაეღიმა და აგვიხსნა:

— მყეფრები, შვილო, მთელი ღამე ფარას ან ჯოგს სდარაჯობენ და იფარავენ მოძალბებული ნადირისაგან. ხოლო, როცა გათენება მოატანს და ნადირი გაფრთხება სინათლის მოახლოვებით, მაშინ ძაღლებიც იძინებენ და დილილ-დაქანცულნი. ჩვენ მთის ხალხი ვართ და დაკვირვებით ვიცით, რომ ამ დროს დაწყებული ავდარი დიდხანს არ გამოიდარებს. — გვითხრა მოხუცმა და, თითქოს იმის ნათქვამის დადასტურება იყო, წვიმამ ყავარზე უფრო ენერგიულად წამოიშინა.

მაგრამ არ გამართლდა მეწისქვილის „პროგნოზი“, გამოჩახჩახდა ვეებერთელა მზე და სულ მალე შესანიშნავი ამინდი დადგა. გამოვეთხოვეთ მეწისქვილეს და გზას გავუღებით.

* * *

სათავისაკენ სიარული წინა დღეებთან შედარებით უფრო გაძნელდა, რადგან ავდრისაგან მოდიდებულ წყალს მასზე ვადებულნი ხიდები და ბოგირები ზოგან მოეტაცნა და მდინარეზე გადასვლას ყველგან ვერ ვახერხებდით. მაგრამ ახლა სამაგიეროდ გამოცდილი მეგზური გვახლდა. ჯაბას მოკლე ბილიკებით გადავყავდით სერებზე და ამის გამო საჭირო აღარ ხდებოდა მდინარეზე ყველგან გადასვლ-გადმოსვლა.

ერთ მალალ გორაკზე რომ ავედით და ისევ თავქვე უნდა დავშებულნიყავით, მალეობზე ცოტა შევისვენეთ. იქიდან უკვე ხელის გულივით გამოჩნდა ის მთები, საიდანაც იწყებოდა ჩვენი მდინარე ხმაურა. ჯაბამ ერთი შვეული კლდისაკენ გაიშვირა ხელი და მითხრა:

— ძია ლადო! აი, ის კედელივით პატალო კლდე რომ მოჩანს, იმის ძირში ერთი პატარა ეკლესიაა, რომელშიაც, ეტყობა, კაცის ფეხი დიდი ხანია არ დადგმულა. ვინ ააშენა მანდ, ან რად უნდოდა, არ ვიცი, რადგან ხალხი არავინ ცხოვრობს მაგის ახლო-მანლო. მეც შემთხვევით წავაწყდი.

— მანდ რა გინდოდა ჯაბა, რომ წავაწყდი? — შევეკითხე.

ბიჭმა ჩაიცინა, ცოტა ხანს შეჩერდა და მერე მორცხვად დაიწყო:

— ერთი სოფელია, ძია ლადო! ლამეს ეძახიხარ, ედერო დურგალი მომკვდარიყო და იმას დასცინიან. სიკვდილის წინ ანდერძით ეთქვა: ქაჩალ-გორაზე რომ წაპწოპა კლდეა, სრულ შუადღისას იმის ჩრდილის გასწვრივ რომ გაპყვეთ, გალმა ტიტველა კლდემი ხაზინაა, ვინც კი ბიჭები ხართ, წადით, მონახეთ და მოიხმარეთო. მეც წამოვედი და დავეწყე ძებნა, მაშინ წავაწყდი იმ ეკლესიას, ავერ იმ კლდეზეა ლაპარაკი, — გაიშვირა ხელი ჯაბამ, — მანდღან, მაგის ჩრდილის გასწვრივ ერთი ათჯერ მაინც გავედი გალმა ტიტველა კლდესთან, მაგრამ საქმეში ხარ! ვერაფერიც ვერ ვიპოვე, გარდა ერთი პატარა საყდრისა, რომელიც შქერებში და ხეიარებში ძლივსა ჩანს.

— ნახატები არის შიგ? — შევეკითხე.

— შენ რა იცი, ყოფილხარ?

— არა, ლაზარემ მიაშობო, ჯაბას ერთი მოხატული ეკლესია უპოვია და ხანდახან იქ ათევს ხოლმე ღამესო — მართალა?

— არა, ღამე კი არ გამითევია შიგ, მაგრამ ერთხელ წვიმაში შევაფარე თავი. ძილით იქ რა დამაძინებს? ისეთი ხატებია, რომ შეხედო — გული გავისკდება. ზოგს ალთას გაურბის თვალები, ზოგს ბალთას.

ჯაბა იმ ეკლესიის შესახებ მეტი აღარ მილაპარაკებია, რადგან ჩვენ თვითონ იქით მივიდიოდით და, მართლაც, დანარჩენი ჩვენი თვალთ ვნახეთ.

კლდე თითქოს ახლო მოჩანდა. კაცი იფიქრებდა: აი, ჩავალთ მდინარის პირზე და ერთი საათის სიარულით მივადგებითო, მაგრამ ისეთი ჩაკეცილი ადგილები და მისახვევ-მოსახვევი გზები შეგვხვდა, რომ სალამოდე ძლივს მივალწვიეთ.

ეკლესია უგუმბათო და სამკედელა აღმოჩნდა. მე ასეთი რამ ჯერ არსად გამეგონა და გაკვირვებული შევეყურებდი. იგი პირდაპირ კლდეზე იყო მიშენებული. მეოთხე კედლის მაგივრობას კლდე ასრულებდა და ჩემი გაკვირვებაც სწორედ ამან გამოიწვია.

საოცარი კიდევ ის იყო, რომ, როგორც ჯაბამ თქვა, აქ ახლო-მანლო მოსახლეობის ჭაჭანება არ ჩანდა. ვის მიერ იყო აშენებული, რა მიზნით, ვერ გავიგეთ და ამის გამო ვახუმტი ბატონიშვილის გეოგრაფია ვინატრე, მაგრამ ამ მიყრუებულ მთაში ვინ მომართმევდა ვახუმტის გეოგრაფიას.

მალეიდან ჩამოცვენილი კლდეების ნამსხვრევებით ეკლესიის რუხი ფიქალის სახურავი ერთგან ჩამონგრეულიყო და იმ მხარეს კედლის მხატვრობა დაზიანებულიყო. ვიდექ და ვფიქრობდი: ვის დასჭირდა ეკლესიის აშენება ამ უსიერ ადგილას და მერე კედლების მოხატვა-მეთქი.

ბოლოს, ბევრი ფიქრის შემდეგ, ეჭვი დამებადა: მართლაც, ეს ხომ არ არის ის „ხაზინა“, რომლის შესახებაც სოფელ ლაშეში დღესაც თქმულება დადის-მეთქი. კედლად გამოყენებული კლდის შიგული გულდასმით დავათვალიერე იმედმოცემულმა, იქნებ ხერხი იყოს-მეთქი სადმე, მაგრამ კლდეზე ბზარაც ვერ აღმოვაჩინე.

მალაუნებურად განვაგრძეთ გზა. რაკი აღარც შორს იყო და სწორედ იმ კლდის ძირში იწყებოდა მდინარის სათავეებიც, რომლის სანახაჟადც წამოვედით. ნაჩქარევად დავათვალიერე ერთი სამიოდე ღელე თავისი საწყისი წყაროებით, რომელთა ტოტებთანც გროვდებოდა მდინარე, და უკან საყდართანვე გამოვბრუნდით.



მკლესია უფუმბათო და სამკედლო აღმოჩნდა — მეოთხე კედლის მაგვირობას კლდე ასრულებდა.

სხვა შემთხვევაში შეიძლება უფრო დაწვრილებით დამეთვალეობინა ყოველი ხევი, ყოველი წყარო, ზუსტად ამეწერა მისი წყლის რაოდენობა, საწყისი წერტილები და სრულიად კმაყოფილი დავბრუნებულყავი ჩემი ნამუშევრით, მაგრამ ახლა ასეთი საკირკიტო საქმე სრულებით აღარ მიზიდავდა.

რაკი ერთხელ დამეწყეს ფიჭვის კიბებმა ღრუნა, მოსვენება დამეკარგა. ახლა ეს შემექნა საფიჭრებლად: დავუშვათ, მართლაც იყოს „ხაზინა“, ნეტავი რას გულისხმობდნენ ხაზინად და რა ჰქონდათ შიგ იმ ხაზინაში?

ოთხივენი დალილები ვიყავით. ღამის გასათევად იმ საყდრის ახლოს გავშალეთ ჩვენი პატარა კარავები, საყდარში დაძინებას მოვერიდეთ, რადგან შეგვეშინდა იმ ქვის ყორეებში ქვეწარმავალი არ ყოფილიყო ჩაბუღებული.

* * *

ღიღის რვა საათი იქნებოდა, როცა გამომეღვიძა. გავღვიძე ბიჭები. საყდართან ახლოს მდგარ თელის ტოტებიდან გვრიტების ღრვინვა ისმოდა.

ვისაუზმეთ. ერთ ხანს იმაზე ვფიქრობდი, — ახლომახლო სადმე სოფელი აღმომეჩინა და იმ მიტოვებული საყდრის შესახებ მეკითხა, მაგრამ დასახლებული პუნქ-

ტი არსად ჩანდა და ისედაც აზრი შევიცვალე: ვიცოდი ჩვენი ხალხის ამბავი — რაც სადმე ძველ ნაშენობაზე ყველას თამარ დედოფლისას ეძახიან.

ბიჭებმა უფულოდ მიიღეს ჩემი სიტყვები, როცა ვუთხარი: აი, ყმაწვილებო, ესეც ხმაურას სათავე და ახლა სახლში დავბრუნდეთ-მეთქი. არაფერი უთქვამთ, სახეზე კი აშკარად ეტყობოდათ უკმაყოფილება, რადგან ის ვერ მიიღეს, რასაც წამოსვლის დროს ვპირდებოდი — ალბათ, სულ სხვანაირად წარმოედგინათ მოგზაურობა.

ქაჩალ-გორას რომ მივატანეთ, ფერდობში ცხვრის ფარები გამოჩნდა. გამეხარდა. იღბლად ორი მოხუციც ერია მწყემსებში და, რომელიც უფრო უფროსად მომეჩვენა, იმასა ვკითხე:

— ძია კაცო! დიდი ხანია რაც ცხვარში დადიხართ?

— სულ ბალობიდან ცხვარს დავდექ! — მიპასუხა.

— არა და, მაგას რომ სამსართულიანი სკოლა აქვს გათავებული, მინისტრად დასვამდნენ! — იხუმრა მეორე ხნიერმა მწყემსმა. ახალგაზრდა მწყემსებს გაელიმათ მის კვიპატურ ნათქვამზე.

ხომ არ იცით, გაღმა კლდეზე რომ მიდგმული ეკლესიაა, რა ჰქვია, ან როდის არის აშენებული და ვინ ააშენა-მეთქი. კლდეზე მიბმული ეკლესიის ლექსი ე, მაგან იცისო, — მიმიითთა კვიპატ მოხუცზე და მიამბო:

„ეგა შვილო, პირველი არეულობის დროს — ცხრაას-ხუთში ვიღაც შავანაფორიანმა ბერებმა ააშენეს და „ძლევის ჯვარს“ ეძახდნენ მაგ საყდარს. მერე ყველანი საღდაც წავიდნენ და ერთი შეტა-შუტა ჯეელი ბერი დატოვეს მანდა. იმ ბერს მამა გაიოზას ეძახდნენ. იჯდა მაგ საყდარში და ბუტბუტებდა რაღაცას, გალობდა. ხანაც თელების ჩრდილში იჯდა და წერდა. ახლო რომ მივიდოდით, ქალაქებს წამოკრეფდა და ჩვენ დაგვიწყებდა ხოლმე ლაპარაკს.


სასმელ-საჭმელს ცხენით უზიდავდნენ სხვები. კი არ ვიცი საიდან, ის კი დღეცა და ღამეც მანდ იყო. სასმელი ღვთის წინაშე ბევრი ჰქონდა, ხანდახან ჩვენც გვასმევდა ხოლმე არაყსა და, როცა თავში შეუღსდებოდნენ, იგეთ ხარკით სიმღერას შემოსძახებდა ხოლმე, რომ იქიდან აქ, ქაჩალ გორაზე გაიგონებდა კაცი.

სანამ ნიკოლოზის ომი დაიწყებოდა, მანამ მანდ იყო ის მამა გაიოზა. მერე მე ომში წამიყვანეს ავსტრიის ფრონტზე. როცა დავბრუნდი და ისევ ცხვარში წავიდი, გაიოზა აღარ მიხსახეს. ზოგი იძახდა, ის ბერი მოკვდა და ისე დაუსაფლავებელი ფრინველსა და ნადირს შეეჭამათო. ზოგიც ამბობდა, ქალაქს წავიდა და აღარ დაბრუნებულაო. აბა, რა ვიცი? რომელია მართალი და რომელი ტყუილი, შენ გამოიცანი! ერთი ის ვიცი, რომ ის კაცი აქ აღარ გამოჩენილა და მას უკან ეს საყდარიც გატიალდა. აღარც ბერი უვლის და აღარც ერი.

ჩვენ კიდევა, როცა ცხვარს იცადმოვადოვებთ ხოლმე აქეთა, გავგახსენდება გაიოზა ბერი და ვიჯონებთ, ვუამბობთ ახალგაზრდებს მის შესახებ. მეტი, აბა, რა გითხრათ?“ — დაამთავრა პირველმა მეცხვარემ.

შემდეგ მეორე მეცხვარისაგან იმ ლექსის ნაწყვეტი ჩავიწერე, რომელსაც თურმე ბერი გაიოზი არყით შეჭეფიანებდა დროს ხშირად მღეროდა ხოლმე. მეცხვარეს ლექსი დავიწყებოდა და ძლივ-ძლივობით აღადგინა მეხსიერებაში სამი სტრიქონი. აი, ისიც:

... ბერი ვარ, მაგრამ კაი ვარ, კლდეზე მივაბი საყდარი, ზედ დავახურე სიპი ქვა, არ ჩამოუშვას ავდარი. კარი ძირიდან შევაბი, ქვესკნელს მოვაწყე სახლ-კარი...



რაკი მეცხვარეებმა მეტი არაფერი იცოდნენ იმ ეკლესიის შესახებ, დავცილდით და ჩვენი გზა განვაგრძეთ. გაოგნებული მივიდიოდი და ბიჭების ზოგიერ გულუბრყვილო შეკითხვაზე მოკლე „არა“ ან „პო“ ვუპასუხებდი.

„კარი ძირიდან შევაბი, ქვესკნელს მოვაწყე სახლ-კარი“...

რომელ ძირიდან შევბმულ კარზე იყო ლაპარაკი? რას ტრამპანობდა ბერი და რა ქვესკნელს მოწყობილი სახლ-კარი ძყო ნაგულისხმევი? ეს მაწვალებდა და ამის გამო გამოშტერებული მივაბიჯებდი, მაგრამ ქაჩალ-გორის თავეზე რომ ამოვედით და იქ ცოტა ხანს შევისვენეთ, თვალის იხევე იმ კლდისაკენ გამექცა, სადაც ვაიოზ ბერის მიერ ნაშენი „ძღვეის ჯვრის“ ეკლესია შეყუჟულიყო, და სახლში დაბრუნებაზე აზრი უკებ შევიცვალე.

ბიჭებს რომ ვუთხარი, ისევე იმ ეკლესიაში უნდა დავბრუნდეთ, სადაც წუხელ გვეძინა-მეთქი, გაშტერებული გვბმდა დამიწყეს ყურება. არა სჯეროდათ, თუ მართლს ვეუბნებოდი. ხოლო როდესაც სახლისაკენ წამოსვლის ნაცვლად, ისევე უკან დავბრუნდი და ვუთხარი გამყოლოდნენ, კუნტრუმით დამედევნენ.

მართალია, ზაფხულის დღე დიდია, მაგრამ იმ წინ და უკან სიარულში შემოგვადნა და, როცა ჩვენს ნაცვლად ეკლესიაში ხელმოვირედ შევედით, უკვე მზე ჩადიოდა და მალეც ჩამობნელდა.

რა თქმა უნდა, ვათენებამდე „ძირიდან“ შევბმულ საიდუმლო კარის ძებნის დაწყება უაზრობა იყო.

მაგრამ დავეწყეთ დასაძინებლად და არც ისეთი ადვილი გამოდგა დაძინება, როგორც ვფიქრობდი. თვალწინ სულ კლდეებში გამოჭრილი რაღაც შეუტყნობი ჭურღმულეები მედგა, რომელთაც ბერი თავის ლექსში სახლ-კარს უწოდებდა.

აი, ასეთი ფიქრები არა მცილებოდნენ და დილაამდე თვალის მოტყუება ვერ მოვახერხე. ამის გამო, ინათლა თუ არა, უძილობით გამოწვეული თავის ტკივილისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, წამოვდექი და ბიჭებიც წამოვშალე.

მართალია, ბიჭებს ჩემსავით ღამე ძილი არ გასტეხიათ და გაძრივლადაც ხვრინავდნენ, მაგრამ ასე სისხამ დილით გელვიძება მაინც დაეზარათ და მთქნარებით. და ზმორებით წამოიზლაზნენ.

სინათლემ თანდათან იმძლავრა. მთელი ეკლესიის ფიქალით მოგებული იატაკი განათდა. ახლა უკვე ძებნის დაწყების დრო იყო და ჩვენც შევუდექით...

ხოლო, სანამ ხაზინის ძებნას დავიწყებდით, საჭირო იყო ბიჭებისათვის მოკლედ მაინც გამეცნო ჩემი ვარაუდი და იმედი, რომელსაც მეცხვარეებთან ჩაწერილი ლექსის სტრიქონებს ვამყარებდი. ამიტომ პირდაპირ ავუხსენი:

ბიჭებო, ყური დამიგდეთ! იმ ლაშელი კაცის ანდერძში ნათქვამ ხაზინას მე მგონი მივაგენით-მეთქი. უსათუოდ აქ, ამ ეკლესიაში უნდა იყოს! აბა, ყური დაუგდეთ ლექსს: „ბერი ვარ, მაგრამ კაი ვარ, კლდეზე მივაბი საყდარი“... ამაში ხომ დაეჭვებაც არ შეიძლება, რომ ამ საყდარზეა ლაპარაკი, რადგან სწორედ ეს არის კლდეზე მიბმული. ამის მომდევნო სტრიქონიც ამ საყდარის სახურავს შეეხება და ეს არაფერ დავას არ იწვევს. ოღონდ ჩვენთვის ახლა მესამე სტრიქონია ყველაზე საინტერესო. დააკვირდით: „კარი ძირიდან შევაბი, ქვესკნელს მოვაწყე სახლ-კარი“-ო. აი, ბიჭებო! ჩვენ სწორედ ეს ძირიდან შევბმული კარი უნდა ვიპოვნოთ პირველ

რიგში და იმ კარიდან, ალბათ, ქვესკნელში მოწყობილი სახლ-კარის მონახვასაც, შევძლებთ-მეთქი.

ამის გაგონებაზე ბიჭები გამოცოცხლდნენ. მათ ცეცხლს ველარა მალავდნენ და სიხარულითაც ვერაფრის თქმა ველარ მოეხერხებინათ, ისეთი თვალებით შემომყურებდნენ.

ბოლოს ისევე ჯაბამ დაარღვია სიჩუმე:

— ძია ლალო! იცი რა, მეც აგრე გამეხარდა პირველად, ეს ეკლესია რომ ვიპოვე — ახლა კი მივაგენი, რასაც ვეძებდი-მეთქი, მაგრამ მერე თავი დავანებე. აქ რომ ხაზინა იყოს, ის კაცი იტყოდა საყდარში მონახეთო, მორჩა და გათავდა. რაღა ქაჩალ-გორას კლდეების ჩრდილებზე გამოყოლას გვიჩვენა?!

ჯაბას მოსაზრებამ ცივი წყალი გადაასხა ჩემს თითქმის ეჭვმიუტანელ ვარაუდს. მართლაცდა, იმ მამაცხონებულმა რატომ პირდაპირ არა თქვა, ეკლესიაში არის ხაზინაო?!


თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩემთვის ერთი რამ მაინც ცხადი იყო: შეიძლებოდა ლაშელი კაცის ნალაპარაკები ან მართლაც ტყუილი გამომდგარიყო, ან იმის ნათქვამ ხაზინას ეკლესიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონოდა, ოღონდ რაც შეეხება ბერის ლექსს, — ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო. შევუდგეთ გულდასმით ძებნას-მეთქი, ვუთხარი ბიჭებს, რევოლუციის დროს რომ ბერებმა ეკლესია ააშენეს საჩქაროდ, იქ უთუოდ რაღაც ღირსშესანიშნავი შეინახეს-მეთქი და ხალხის მომემატა.

თვალის გადავავლე იატაკად დაგებული ქვის ფილებს და ვცდილობდი შემეძინა, რომელიმე მათგანი თუ განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან, რათა იქიდან დამეწყო ძებნა. მაგრამ ასეთი რამ ვერ აღმოვაჩინე. ქვები თითქმის ყველანი ერთი ფერისა და ერთი ზომისანი იყვნენ. ამიტომ მივყევი და პირწმინდად ყველა ფილაქნის გადაბრუნება დავიწყე.

— ძია ლალო! კიბე! — იყვირა უცბად ნიკუშამ და ყველამ მისკენ მივიხედეთ. ბიჭს აყირავებული ფილაქანი ხელში ეჭირა და ძირს აღარა დებდა, თითქოს, რომ დაედო, ამით ნაპოვნი კიბე ისევე დაეკარგებოდა.

ყველანი ნიკუშასთან შევგროვდით და განცვიფრებულნი ჩავყურებდით ხვრელში ჩამავალ კიბეს, საიდანაც მძაფრი შმორისა და სინესტის სუნი ამოდიოდა...

(გაგრძელება იქნება)





მეგობრობის კონცერტი

დამის სიბნელე ჯერ კიდევ კარგად არ გაეფანტა მზეს, როცა ერევნის მატარებელი თბილისის ვაგზალში შედგა. ახმაურდა ბაქანი. დამხვდურები და მგზავრები ერთმანეთში აირივნენ. ბაქნის ერთ მხარეს წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები იდგნენ, ისინი თაიგულებით ხელში, თავიანთ ერევნელ მეგობრებს ელოდნენ. უნდა გენახათ მათი გაბრწყინებული თვალები, როცა მანანა თარაშვილმა შესძახა, — აგერ ისინი! ჟივილ-სივილით მიეგებნენ ვაგონიდან გადმოსულ თანატოლებს. ეს გასაგებიცაა, მთელი წელიწადი გავიდა მათი უკანასკნელი შეხვედრიდან და ახლა, ცხადია, ერთმანების ნახვას მონატრებულნი, სიხარულს ვერ ფარავდნენ. გოგონებმა თავიანთი სიხარული ერთმანეთის გადაკოცნით დაავიწყებინეს, ბიჭებმა — ხელის მაგარი ჩამორთივით...

ორი დედაქალაქის, საიათნოვას სახელობის ერევნის მუსიკალური და თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლების მეგობრობას რვა წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. 1952 წლის დეკემბერში ერევნელმა ნორჩმა მუსიკოსებმა გულთბილი წერილი გამოუგზავნეს თბილისელებს და თავიანთი მეგობრობა შესთავაზეს. თბილისელებმაც არ დააყოვნეს და მეგობრობის კარები ფართოდ გაუღეს მათ. იმ დღიდან მოკიდებულნი, თითქმის ყოველ წელიწადს ხვდებიან ერთმანეთს ნორჩი მუსიკოსები ხან ერევანში, ხან თბილისში და შეერთებული ძალით მეგობრობის კონცერტებს შართავენ.

პირველი მისალმებებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მეგობრები

ვაგზლისწინა მოედანზე გამოვიდნენ. სტუმრები და მასპინძლები მსუბუქ მანქანებში ჩასხდნენ და გეზი საბურთალოს ახალი მშენებლობებისაკენ აიღეს. იქიდან კი ვაკეში გადავიდნენ, ინახულეს კულტურისა და დასვენების ახალი პარკი, „ქარიშხალს“ სტადიონი. შემდეგ კი რუსთაველის პროსპექტის ვავლით ძველ თბილისს ესტუმრნენ. დაათვალიერეს სიონის ტაძარი, ანჩისხატის ეკლესია, ინახულეს ის უბანიც, სადაც ცხოვრობდა ჩვენი სახელოვანი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, აქედან კი, ყოფილი თათრის, ახლა გორგასალის სახელით ცნობილ მოედანზე გავიდნენ. ერევნელებმა მეტეხის ციხეს გახედეს.


— რაფიკ, — გამოეხმაურა გია თარაშვილი რაფიკ ნანოიანს, — შენ და შენმა მეგობრებმა უთუოდ იცით, რომ ამ ციხეში მეფის ოხრანკას პატიმრობაში ჰყავდა თქვენი ხალხის სახელოვანი შვილი, საბჭოთა ხელისუფ-

ლებისათვის თავდადებული მებრძოლი, რევოლუციონერი კამო.

— ვიცი, ვიცი, როგორ არა! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

დილის გასეირნებით კმაყოფილი პიონერები სასტუმრო „რუსთაველი“ დააბინავეს მასპინძლებმა. მეორე საღამოს კი რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი ხალხით გაიჭედა. ერევნელმა და თბილისელმა ნორჩმა მუსიკოსებმა მეგობრობის კონცერტი გამართეს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიუძღვნეს. სცენაზე პირველნი მასპინძლები გამოვიდნენ და თავიანთი ოსტატობით მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს. სამარისებურ სიჩუმეში, როცა ბეთჰოვენის „ზაზუნას“ უკანასკნელი პანგები მიწყდა, დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. ყველა აღტაცებული იყო პირველი კლასის მოსწავლის ლუიზა კიურეგიანისა (პედაგოგ ტერ-გრიგორიანის კლასი) და

სოფია მადრაძე გულთბილად გინელ აბრულებს გლუკის „მელოდიას“ და გოენსის „ტრატოსს“.




მეორეკლასელ მარინე აბულაძის (პე-
დაგოგ მუმლაძის კლასი) შესანიშნავი
შემსრულებლობით.

— გლუკი — „მელოდია“, გუნო —
„სკერცო“, ასრულებს მეექვსეკლასელი
სოფიო მარაძე (პედაგოგ ტორთუ-
ლიძის კლასი) — გამოაცხადა კონ-
ცერტის წამყვანმა და დარბაზში ახლა
ჩელოს ხან მშფოთვარე და ხან ნარნარი
ხმა გაისმა... კვლავ ტაში და მოწონე-
ბის შეძახილები...

სცენაზეა მეექვსეკლასელი მანანა
თარაშვილი, იგი თავის მასწავლებელ-
თან, თ. გეგუჩაძესთან ერთად კაბალე-
ვსკის „კონცერტის“ მესამე ნაწილს
ასრულებს. მისი მოქნილი თითები
სწრაფად და შეუცდომლად მოძრაობენ
როიალის კლავიატურაზე და ახლა
დარბაზი მის ტყვეობაშია.

ნორჩი მუსიკოსები ერთმანეთს
სცვლიდნენ სცენაზე და ისედაც მოჯა-

გია თარაშვილია მოპენის
„ექსპრომპტო-ფანტაზია“
შეასრულა და მსმენელები
დატრუნდა.



მარინე აბულაძე და ლუიზა კიურეტი-
ანი ასრულებენ ბეთხოვენის „წაწუნას“.



დობულ მსმენელებს სულ უფრო და
უფრო იპყრობდნენ თავიანთი ოსტა-
ტობით. მალე მასპინძლებმა სარბიელი
სტუმრებს დაუთმეს. მაღალი გემოვნ-
ებით, პროფესიული დახვეწილობით
ხასიათდებოდა ერეგულ ნორჩ მუსი-
კოსთა გამოსვლები. მკუხარე ტაშით
დააჯილდოვეს მსმენელებმა მეოთხე-
კლასელი მისაკ ალექსანიანი (პედა-
გოგ ბერბერიანის კლასი), როცა მან
შესანიშნავად შესრულა დ. ერეკლუას
„სუიტა“ და არუთინიანის „ექსპრომ-

ტი“. მოწონება ხვდა წილად მეოთხე-
კლასელ მარგარიტა ტერ-სარქისიან-
საც (პედაგოგ კრაჯიანის კლასი) დ.
ცაგარეიშვილის „პრელუდიის“, ამი-
როვის „ტარანტელასა“ და შოსტაკო-
ვიჩის „ვალსის“ საუკეთესო შესრულე-
ბისათვის.

აბა, ვის არ მოეწონებოდა მეშვიდე-
კლასელ ანაიდა ეგიაზარიანის (პედა-
გოგ ავაკიანის კლასი), ვიქტორ ხაჩა-
ტრიანისა (პედაგოგ აიკაზიანის კლა-
სი) და კარენ ოგანესიანის (პედაგოგ

ბეგლარიანის კლასი) მიერ განსაკუთ-
რებული სიფაქიზითა და გემოვნებით
შესრულებული ს. ცინცაძის „მწყემსუ-
რი“, რომელიც ტრითოსათვის პროფესორ
გურგენ ადამიანმა დაამუშავა. ანაიდა
ფორტეპიანოს პარტიას უკვე გამოც-
დილი შემსრულებელივით აუღერებდა,
ვიქტორის ვიოლინო ტექნიკური სრულ-
ყოფით მართავდა მელოდიას და ამ
მუსიკალური ნაწარმოების საერთო მა-
ჯისცემას ხმაშეწყობილად და მეტად
მგრძობიარედ ერწყმოდა კარენის
ჩელოც...

მეორე დღეს თბილისელმა ნორჩმა
მასპინძლებმა ერეგული მეგობრები
საგურამოში წაიყვანეს. ექსკურსიის
მძღოლმა დაწვრილებით უამბო მათ
ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღ-
ვაწეობის შესახებ.

ერეგული პიონერები აღტაცებას ვე-
ლარ ფარავდნენ, როცა ქართული
კულტურის შესანიშნავი ძეგლი, სვეტი-
ცხოვლის ტაძარი იხილეს.

აბა, რომელ მათგანს დაავიწყდება,
განსაკუთრებით კი გოგონებს, ყვავი-
ლების ჯადოქარ მიხეილ მამულაშვილ-
თან სტუმრობა. უნდა გენახათ მათი
გაბრწყინებული თვალები, როცა ძია
მიხეილმა ისინი ნაირფერი ყვავილე-
ბით დაასაჩუქრა...

სალამოს დალილინი, მაგრამ შთა-
ბეჭდილებებით აღსავსე მეგობრები
თბილისში დაბრუნდნენ. დილით კი
სომეხ პიონერებს მატარებელი სამშობ-
ლოში მიაქროლებდა.

თეიმურ სახაროვი

ფოტო — ავტორისა.



ცანცარა

ლავანჯი ჭიჭინაძე

მ ო ო ხ რ ო ბ ა

ნახ. ედ. აშბოკაძისა

იყო და არი იყო რა...
არა, ნამდვილად იყო!

ერთ კარგა წამოჩიტულ ბიჭს ცანცარა შეარქვეს მეზობლებმა. შერჩა და შერჩა ეს სახელი, რამდენიმე ხნის შემდეგ ნამდვილი სახელი სხვებს კი არა, თვით ცანცარასაც აღარ ახსოვდა.

ახალი სახელი ბიჭს ტყუილად როდი შეარქვეს!

ის ხომ პატარაობიდანვე მოუსვენარი იყო, ერთ ადგილზე ერთ წუთსაც არ ჩერდებოდა. ცხრა მთა არასოდეს გაუვლია, არც ცხრა ზღვა გაუტურავს, მაგრამ ახლომახლო მინდვრებსა და გორაკებზე მისი ფეხდაუდგმელი ადგილი აღარ მოიძებნებოდა. მიწაზე სირბილი რომ მოზებოდა, ხეებზე გასვლა იწყო, ხან ერთ ხეს მოველებოდა კენწეროზე, ხან მეორეს. ტოტიდან ტოტზე ციყვივით ხტოდა. ხიდან ხეზე ტოტებით გადადიოდა; ტყეში ერთ ხეზე რომ ავიდოდა, სადღაც შორს, რომელიღაც ხიდან ჩამოვიდოდა.

ცანცარა რომ წამოიზარდა, თავისივე სოფლის სკოლაში შეიყვანეს. სკოლა ცანცარას ეზოს გადაღმა იყო. ამ სკოლის შენობას არც ცხრა სართული ჰქონდა და არც ცხრა კარი, მაგრამ იმისთანა კარგი შენობა ქალაქშიც იშვიათად მოინახებოდა, მთელ სოფელს თავზე დაჰყურებდა. მასწავლებლებიც კარგი იყვნენ ამ

სკოლაში. მარტო მეზობელი სოფლებიდან კი არა, ქალაქებიდანაც მოდიოდნენ მის დასათვალისწინებლად... მაგრამ ცანცარა რის ცანცარა იქნებოდა, თუ ამ სკოლაზეც არ აიცრუებდა გულს. მამას რომ ვერაფერი გაუბედა, დედას უთხრა:

— დედი, დედილო, აღარ მომწონს ჩვენი სკოლა.

— რატომ, შეილო?—გაიოცა დედამ.

— იმიტომ, რომ აქ არაფერი ვისწავლე. ქალაქის სკოლაში უფრო კარგი სწავლა იქნება. თუ იქ წამიყვანთ, ისე კარგად ვისწავლი, ისე კარგად, რომ...

დედამ იფიქრა: ნეტავი კარგად ისწავლიდეს და ქალაქში როგორ არ წავეყვანო.

ცანცარამ ინატრა, ინატრა და ნატვრა აუსრულდა. მალე ქალაქის სკოლაში ამოჰყო თავი.

აბა, ვის არ გაუგონია, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. და ცანცარამ ვერც ახალ სკოლაში უღალატა თავის ჩვეულებას, მერხზე სულ თითისტაროვით ტრიალებდა. მეზობელ მერხზე რომ ვერაფერ იშოვა ამჟამად, უცებ, ვითომ მასწავლებელი ვერ დამინახავსო, სხვა მერხზე გადასკუპდა. მასწავლებელმა ორჯერ თუ სამჯერ დაჰკრა კალმისტარი მაგიდას. ბავშვები იმ წამსვე მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა ეს დაჰკუნება. ისინი კიდევ უფრო გაინაზნენ, ცანცა-

რამ კი სალაპარაკოდ მოიღერა კისერი, მაგრამ სიტყვა პირში შერჩა, როცა სიჩუმეში მასწავლებლის ხმა გაისმა:

— არის ერთი ასეთი ანდაზა: კაცს შინ ოქრო სათბრელი ჰქონდა, გარეთ მიეშურებოდაო.

ეს ანდაზა ცანცარამ ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა. დასვენებაზე, —იმის არ იყო, მეღა გაღმა გახტა და კუდიც თან გაჰყვო, —აქაც „ცანცარა“ შემოესმა. ჯერ ეწყინა და გაუკვირდა: ამათ საიდან იციან ჩემი ზედმეტი სახელიო, მაგრამ მალე აქაც შეაჩვია გამოჯავრებას ყური.

ზაფხულის არდადეგებზე კვლავ თავის სოფელს ესტუმრა ცანცარა. ეს რომ სოფლის სკოლის ამხანაგებმა გაიგეს, თავიანთ სკოლის ბაღში მიიწვიეს სწორედ იმ დროს, როცა ცანცარას ყოფილი თანაკლასელები იყვნენ მორიგედ. ცანცარამ დიდი თავპატივი არ გაიღო. სკოლის გადაღმა დახუნძლულ ხეხილს რომ მიუახლოვდნენ, ერთი ბიჭი შეეკითხა:

— თქვენს სკოლას თუ აქვს ასეთი ბაღი?

ცანცარამ თავი გააქნია—არაო.

ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ ყოველთვის ბაღში არის ხოლმე და ახლაც აქ დახვდა ბავშვებს. ცანცარას მისვლა გაუხარდა და დახუნძლულ მსხალთან მიიპატიჟა. ცანცარამ მაშინვე

მოწყვეტა საადრისო მსხალი და მა-
დიანად ჩაებინა.

— უპ, რა გემრიელია! ამ მსხალს
აქამდე არ ჰქონია ნაყოფი და წელს
რა ბევრი მოუსხამს! ეს რა ამბავია,
ლამის ტოტები დაუმტერის ნაყოფ-
მა! წინათ სულ იმას ვიძახდი: ქალა-
ქის სკოლა, ქალაქის სკოლა-მეთქი...
ეპ, იქ არც მსხალი აქვთ და არც
ვაშლი!

მასწავლებელმა გაიღიმა, ახლოს
მივიდა ცანცარასთან, ხელი გადაუს-
ვა თავზე და უთხრა:

— კაცს შინ ოქრო სათბრელი
ჰქონდა, გარეთ მიეშურებოდაო! თუ
გაგიგონია ეს ანდაზა?

— როგორ არა, ჩვენს სკოლაშიც
მითხრა მასწავლებელმა გაკვეთილზე.
ნეტავ რატომ არის, რომ ყველგან
ამ ანდაზას ამბობენ?! — გაკვირვებით
იკითხა ცანცარამ.

მასწავლებელი იღიმებოდა:

— დადგება დრო და შენც იტყვი!
ამის თქმა რა დიდი საქმეა? — გაი-
ფიქრა ცანცარამ. დიდხანს ერთ
რამეზე ფიქრით თავის შეწყუბებს ის
ხომ შეჩვეული არ იყო. არც ახლა
შეიწუხა თავი და მწიფე მსხლით პი-
რის ჩატებარუნება განაგრძო.

გადიოდა დრო.

ცანცარა ხან სოფლის სკოლაში
სწავლობდა, ხან ქალაქისაში, სწავ-
ლას კი გულს არ უღებდა. იარა,
იარა სკოლიდან სკოლაში და ბო-
ლოს ხელობის არჩევაზე დაიწყო
ფიქრი.

— კარგია სოფელში მუშაობა, —
ურჩია მამამ, — აქ არასოდეს არ მოგ-
წყინდება. მუდამ წარმტაცი, მუდამ
სხვადასხვა ფერია ბუნება.

ცანცარამ უფროსების ლაპარაკს
ყური არ ათხოვა, თავიდანვე ქარხა-
ნაში მუშაობა ამოიჩინა. ქარხანაში
მინდა, ქარხანაში მინდაო, — იმდენი
იძახა, რომ მართლაც იქ დაიწყო
მუშაობა.

„სოფელი რაა, სახელს ქარხანაში
უფრო გავითქვამო!“ — ამ ოცნებით
შეაღო ცანცარამ ქარხნის კარი.

ცანცარამ ქარხანაში ყველა დაზ-
გა შემოიარა. ერთ ადგილზე ვერც
აქ მოისვენა, ეგონა მის ნამუშევარს
ყველა დაინახვდა, მაგრამ ყველამ
კი არა, თვითონაც ვერ დაინახა. აბა,
როგორ აუხდებოდა ოცნება? თვი-
თონ რომ დაიწყებდა საქმეს, მერე
სხვა ამთავრებდა. იყო, იყო ქარხა-
ნაში, დაზგიდან დაზგაზე გადასვლა-
გადმოსვლაც მოწყინდა. ბოლოს ისევ
სოფელში დაბრუნდა.

შემოდგომა იყო.

ცანცარას სკოლის ზოგი ამხანაგი
ყურძენს კრეფდა, ზოგი სიმინდს
ტეხდა. მოსავლით დატვირთულ მან-
ქანებს მიაქროლ-მოაქროლებდნენ.
კოლმეურნეობის ბელელთან სიმინ-
დის ხვავი იდგა. აქვე იყო დიდი წი-
თელი ფარი, რომელზეც თეთრი ასო-
ებით ეწერა სიმინდის უხვი მოსავ-
ლის ოსტატების სახელები.

ცანცარა ხან სიმინდის ხვავს უც-
ქერდა, ხან ფარზე დაწერილ თავი-
სი ამხანაგების სახელებს. უცქირა,
უცქირა, ბოლოს ხელი ჩაიქინა, იქვე,
ხის ძირში მიგდებულ ლოდზე ჩამო-
ჯდა, თავზე ხელი შემოიკრა და თქვა:

— შე სულელი ჩემო თავო, რა-
ტომ აქამდე ვერ მიხვდი, როცა
შინ ოქრო სათბრელი გქონდა, გა-
რეთ რა მიგარბენინებდაო!

... რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი უნი-
ვერსიტეტი არის ლომონოსოვის სახელობის
მოსკოვის უნივერსიტეტი. მის 32 სართუ-
ლიან შენობაში 40.000 ოთახია.

... რომ მსოფლიოში ყველაზე ძველი
უნივერსიტეტია ალ-აზხარის უნივერსიტე-
ტი. რომელიც დაარსდა 989 წელს ეგვიპ-
ტეში. იმ დროს იქ ასწავლიდნენ მათემა-
ტიკას, ასტრონომიას, მედიცინასა და გეოგ-
რაფიას.

... რომ ყველაზე უძველესი საზომია
წყურთა — მანძილი იდაყვიდან ხელის შუბ-
ითის წვერამდე ზოგიერთი ცნობით, ამ
საზომს ხმარობდნენ ჯერ კიდევ შეიღი ათას
წლის წინათ ჩვენს ერამდე.

... რომ პარაშუტი პირველად გამოსცადა
ფრანგმა სეზასტიან ლენორმანმა, რომელიც
1783 წელს გადმოხტა მონტგოლიერის ონ-
სურვატორიის ერთ-ერთ კოშკიდან. მფრინ-
ავთა სიცოცხლის გადასარჩენად გამოსა-
დგვი პარაშუტი კი პირველად შექმნა
რუსმა გამომგონებელმა გ. კოტლინიკოვმა
1911 წელს.

... რომ ყველაზე მაღალი ჩანჩქერი არის
არა ნიაგარა, როგორც ზოგჯერ ფიქრო-
ბენ, არამედ «ანგელა» — მდინარე კარონის
(ვენესუელა) შენაკადზე. ამ ჩანჩქერის სი-
მაღლეა 1.010 მეტრი.

... რომ პირველი სათითური გააკეთა
ერთმა პოლანდიელმა ოქრომჭედელმა XVII
საუკუნის 80-იან წლებში. პირველ ხანებში
ქაღები სათითურს სამკაულად იყენებდნენ,
მას ძირითადად ოქროსა ან ვერცხლისაგან
ამზადებდნენ და ძვირფას თევლებს უკე-
თებდნენ.

... რომ ცხვირსახოცსაც აქვს თავისი
ისტორია ძველ ეგვიპტეში, თხელი ქსოვი-
ლას ნაჭერს იყენებდნენ წმიდა აგაგრი-
ზად XVI-XVII საუკუნეებში ცხვირსახო-
ცი მხოლოდ მდიდარი ქალების მორთულო-
ბად იხმარებოდა და მარტო XIX საუკუ-
ნეში მიიღო თავისი პრაქტიკული მნიშვნე-
ლობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ესპა-
ნეთში ცხვირსახოცზე სპეციალურ გაზთს
პეტლავდნენ. წაკითხვის შემდეგ, მსურველს
შეეძლო გაერეცხა «გაზეთი» და იგი კვლავ
ჩვეულებრივ ცხვირსახოცად იქცეოდა.

... რომ კაცობრიობის ისტორიაში ყვე-
ლაზე სისხლისმღვრელი ომი იყო მეორე
მსოფლიო ომი, რომლის დროსაც დაიღუპა
22.000 ათასი კაცი და დაიჭრა 34.300
ათასი კაცი.



კნეტის სამყაროში

თავაზ კიკნაძე

ნახ. გ. როინიშვილისა

ნ. კვამლი უფსკრულიდან

დადგა გადამწყვეტი იერიშის დღეც. საჭირო იყო აჩქარება, რადგან სექტემბრის ქარი ღრუბლების ფარას ერეებოდა. ვიცოდით, რომ სავდრო ღრუბლები იყო და ვჩქარობდით.

როცა ხანაკიდან გავედით, სცრიდა.

მაღე თოვლიანი უფსკრულის პირას ვიყავით უველა. თოკი და-იქიმა, ჩვენ ნელა მივუვებოდით ერთმანეთს.

ფარნების შუაშე თოვლი ბრჭყვიალებდა, ლაბლაპებდნენ სველი კედლები.

70 მეტრის სიმაღლეზე ლითონის ჭილი დავამაგრეთ. სიღრმიდან ცივი ჰაერი ქროდა. ჭილის დასამაგრებლად უფსკრულში ჩამოტანილი მორების ნაფოტებიდან ჭუმბერ დიდმა პატარა ცეცხლი დაანთო. წვევა კარგი იყო და აბრიალდა ალი. წარმოიდგინეთ უფსკრულის ჩამოსასვლელთან, დედამიწის ზედაპირზე მყოფი ამხანაგების გაოცება, როცა მათ უამრავი ნაპრალედიდან და თვით უფსკრულის პირიდანაც, ამომავალი კვამლის ბოლქვები დაინახეს.

ჩვენ კი ნელა ჩავუშვით არსენა, ჭივიკო, ორივე ჭუმბერი.

ორმოცდახუთმეტრიანი უფსკრული პატარა ბაქანით თავდებოდა, ქვევით კი მერორე ასეთივე სიღრმის უფსკრული იწყებოდა.

*) დასასრული. იხ. „პიონერი № 5.



არსენამ და ჭუმბერ ხომასურიძემ განაგრძეს ჩაშვება. უველას ჩასვლა დაუშვებელი იყო, თუმცა კი სურვილი დიდი გვექონდა, ვილა ამოგვიყვანდა?

გადიოდა საათები. ბაქანზე მყოფი ჭივიკო და ჭუმბერ ჩიშყარინი დროდადრო გვეპასუებოდნენ.

არსენასთან და მერორე ჭუმბერთან კავშირი გაწყდა. არც სასტვენის ხმა, არც ძახილი... ხომ არაფერი შეემთხვათ? კიდევ რომელიმე ჩვენგანი რომ ჩავიდეს, ამომყვანი ვილა დარჩება? ბჭობა გაფშართეთ, ჩვენ ოთხნი ვიყავით: გოგი ჩანგაშვილი—ექსპედიციის უფროსის მოადგილე, ზურაბი, ჩვიდმეტი წლის ჭემალ უნაფქოშვილი და მე.

— ცოტა კიდევ დაველოდოთ! —თქვა გოგამ.

სიჩქარის გამო ტელეფონი არ გაფშართეთ, აუცილებელი კი იყო. ჩვენგან 45 მეტრით ღრმად მყოფი ამხანაგებისაგან კი არ ისმოდა გარკვეული ძახილი, რადგან უფსკრულის კედლებიდან მრავალქერ არტკლილი ექო ყრფ გუგუნად აღწევდა ჩვენამდე.

ნესტი და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა, უფსკრულიდან კი ცივი ქარი ქროდა.

ნერვული დაძაბულობა მატულობდა. თან ისიც არ ვიცოდით, ხომ არ გახშირდა გარეთ წვიმა. დიდი წვიმის შემთხვევაში მთელი წყალი ჩანჩქერების სახით ნაპრალიდან ჩვენსკენ წამოვიდოდა, და ვინ იცის... დიდხანს დარჩენა არ შეიძლებოდა.

გადაწყვეტილთ რომელიმე ჩვენგანის ჩაშვება, ამხანაგების მისამართებლად და შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად. არჩევანი ზურაბს შენდებდა. თანდათან რთულდებოდა მდგომარეობა. უკვე შვიდი საათი გავიდა, რაც უფსკრულში ვიყავით, ერთმანეთს ვამბნებდით სიტყვით, იმდეს არ ვკარგავდით, გონებაში კი ეჭვმა დაიბუღა: „ხომ არაფერი შეემთხვათ?“

სანთლები ილეოდა. ფარნების უმრავლესობა მწყობრიდან იყო გამოსული. ზოგი დაიშხვრა, ზოგიც სინესტემ დააზიანა.

ზურაბს წელზე თოკი ჩავაბი, ის იყო უფსკრულში გადადგა ფეხი, გადაეკიდა, რომ ქვევოდან შეძახილები მოგვესმა:

—ბრუნდებიან!

ზურაბი აღარ ჩავუშვით.

სასწრაფოდ მშრალი სპირტის აბები დავანთეთ, ზელეზო ჯავით. დაიწყო ყველაზე რთული პროცესი — ჩასული ამხანაგების ამოყვანა. სველი კაპრონის თოკი ზელისგულებს გვეწვავდა. ძალიან გვიძნელდებოდა ამოწევა, რადგან ვერც ნაპრალში ვიდგოთ და თითქმის ერთმანეთს ვიყავით მიკრული. დიდხანს, ძალიან დიდხანს ამოგვყავდა არსენა. ტალახიან და სიცივით გაღურებულ სახეზე ღიმილის ღიანი ჩანდა, კბილი კბილს არ უხვდებოდა. ძლივს გავიგეთ მისი ნათქვამი:

— 216 მეტრი!

ეს კი საბჭოთა კავშირის რეკორდი იყო.

არსენას ჭემალი გავაყოლიეთ და ზევით გავგზავნეთ.

ამოვიყვანეთ ჭუმბერები, ჭივიკო. კარგა ხანს გაგრძელდა ამოსვლა. დედამიწის ზედაპირზე ამოსულთ დიდი კოცონი დაგვხვდა უფსკრულის პირთან. ღამე იყო უკვე, სცრიდა, ირგვლივ სიბნელე იყო გაბრუნებული, კოცონი კი ანათებდა დადლილ, მავრამ მობღობარ სახეებს.

ჩვენი ჩასვლით საქართველოს რეკორდი სამჯერ გაიზარდა, ხოლო საბჭოთა კავშირისა — 50 მეტრით. ძველი რეკორდი უკრაინელ ამხანაგებს ჰქონდათ დამყარებული ყირიმის კარსტულ უფსკრულ-ლებში.

ვბრუნდებოდით ბანაკში აღფრთოვანებულნი, ქვესკნელთან ბრძოლა აღამიანის გამარჯვებით დამთავრდა. 216 მეტრის სიღრმეზე წერილია დატოვებული.

გზაში წვიმა დაუშვა, წვიმა კოკისპირული იყო. მთელი ღამე წვიმდა. დილით გადაიღო. მწყემსები აიყარნენ, თხები გაირიკეს და თავქვე დაეშვნენ. ამინდი დიდო ხნით გაუფუჭდა, ჩვენს იქ დარჩენას აზრი აღარა ჰქონდა.

7. ღამე ტყეში

ბარგი შევკარით, ცხენები დავტვირთეთ და ჩვენც თავქვე დავეშვიტ. ცხენების ნაკლებობის გამო, ნაწილი ექსპედიციის წევრებისა ფეხით უნდა წამოსულიყო.

ექსპედიციის უფროსი ლევან მარუაშვილი, ჯუმბერ ხომასურიძე და არსენა დაწინაურდნენ, რომ აღრე მისულიყვნენ ღამის გასათევ ადგილზე და მოემზადებინათ იგი ჩვენთვის.

მე ცხენზე ვიჭექი, რადგან უფსკრულიდან ამოსვლისას ფეხი ვიწრო ნაბრალში ჩამვიარდა და მეღრძო. ქარავანი გრძლად გაიჭიმა. ჯერ აღმართზე მივდიოდით, გადასასვლელამდე, მერე კი დაიწყო ძლიერ დაქანებული დაღმართი. ცხენებს უჭირდათ სიარული, ტალახში ფეხი უსხლტრდათ.

მიმინო უბეში მყავდა მოთავსებული. სიამოვნებდა რხევა და სითბო, თველმდა, ალბათ, ფრთაც აღარ სტკიოდა.

გიულეში თხუთმეტი წუთით შევისვენეთ. ეს ადგილი კოლმეურნეთა დასასვენებელი იყო. მაწვნით გაგვიმასპინძლდნენ, თან გვითხრეს: თქვენმა მეწინავეებმა ერთი საათის წინ ჩაიარესო.

ბინდი სწრაფად ახლოვდებოდა. — გიულეში გავათიოთ ღამე! — ფურჩიე ამხანაგებს, რადგან ვიცოდი, აქედან ტყე იწყებოდა და კარგა ხნის სავალზე გრძელდებოდა, თანაც ბარგით დატვირთული ცხენები გამყოლთან და გოგი ჩანა. შვილთან ერთად ჩამოგვჩინენ.

— მოვასწრებთ დაბინდებამდე ტყის იგვლას, — თქვა ერთმა და მეც აღარ გაუფიქრე წინააღმდეგობა, რადგან უმრავლესობა მის მხარეზე იყო.

ტყეში შევედი. ხეები ღუმლით შეგვხვდნენ. სწრაფად ბინდდებოდა და ქვეითად მოსიარულეთ უჭირდათ ფეხის გადადგმა.

წინ მდინარას ხმა შემოგვესმა. სწორედ მივდიოდით, ადვილი კი იყო გზის აბნევა. მდინარემდე ციკაბო დაღმართი გვედობებოდა... ცხენიდან ჩამოვედი, წინ გაუფიქრე. ცხენსაც, აღამიანებსაც ფეხი გვისხლტებოდა ტალახიან დაღმართზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ უსინათლოდ დავრჩით. იქ, მიწის ქვეშეთში, ვიცოდით, რომ სინათლე აუცილებელი იყო და აკი ყოველთვის განუყრელად თან ვატარებდით, აქ კი მოვტყუვდით. ფარნები და სანთლები შორს იყო ჩვენგან, ბარგით დატვირთულ ცხენებს მოქონდათ ისინი სადღაც უკან.

ჭურბს ჯიბეში სანთლის პატარა ნაბჭავი აღმოაჩნდა, ანთო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ფეხი დაუსრიალდა, დაეცა და სანთელიც დაკარგა.

მდინარე გადავლახეთ. ახლა აღმართს შევუდექით. ცხენს მივინდეთ, ცხენებმა იციან გზა, თანაც სიბნელეში ხედავენ. სადავეშიშვებული, ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

წინიდან ხმა მოგვესმა, ჯუმბერი იყო, ხომასურიძეც მწყემსის ბიჭთან ერთად.

— ლევანი დაგვეკარგა. — შეფოთებული ამბობდა იგი. — არც არსენა ჩანს. ლევანი ცხენზე იჯდა, სადმე ხომ არ გადაიჩხენენ სიბნელეში, ან გზა ხომ არ აერიათ?

ჯუმბერმა და მწყემსის ბიჭმა განაგრძეს ლევანის ძებნა.

ჩვენც მივდიოდით ძახილით:


— ლევანი.. არსენი..

.. ცოტა ხნის შემდეგ შორიდან ძახილი მოგვესმა,

— ლევანი.. არსენი..

შეგჩერდით, სმენად გადავიქციეთ. ხან გვეჩვენებოდა, რომ ვიღაც გვეძახდა განწირული ხმით, ხან ლევანს და არსენას უძახდა. მერე დავრწმუნდით, რომ ჭოტი იყო.

ჭურბს მეორე ცხენზე დაკრულ ჭურგჩანთაში რვეული ეპოვნა, დახია ფურცლებად. ფურცლები დაეგრიხა და ასე, რიგრიგობით ანთებდა მათ, გზას ინათებდა. ჯუმბერ ჩიშყარაიანი გვერდით მიყვებოდა.



ბოდა. ჭებალი მეორე ცხენზე იჯდა, ცულად გრძნობდა თავს რყევისაგან.

ვერაფერს ვხედავდი. ცხენი კი მიდიოდა. ნელა, დინჯად ადგამდა ფეხებს. უცბად, რაღაც დამეჩახა წუბლზე, თითქოს თავის ქალა გადამხადა. წამს გონი დავკარგე.

ჯუმბერი მომვარდა.

— რა დაგემართა!

გონს მოვედი, ასანთს გავკარით, ბილიკის გარდიგარდმო, ერთხეს მეორე წაქცეულა ხე მიბჭნოდა. სწორედ იმ ხეს დაჯახებოდა.

როგორც იქნა, გავაღწიეთ ტყეს. ლევანი და არსენა არ შეგვხვდრიან.

ტყიდან გასვლისთანავე მინდორზე უზარმაზარი კოცონი დავანთეთ, რომ ტყეში მყოფ ამხანაგებს, თუ კი იქ იყვნენ ისინი, გადავინდობოდათ გზის ჩვენსკენ გამოგნება.



8. დახეული დღიური

დღილით ყველაფერი გაირკვა. ლევანი და არსენა მშვიდობიანად მისულობენ ღამის ქასათვე ადგილზე.

მალე ყველანი შევიკრიბეთ სოფელ ბაღნარში. ყველაზე დაზარალებული მე აღმოვჩნდი.

ზურგჩანთა გავსინჯე და ელდა მეცა. გაოცებული დავუხრებდი საერთო რვეულის ყდას, სად გაქრა ნაწერი, დღიური? მერე გამახსენდა, რომ ზურაბმა სანთლებად გამოიყენა ისინი. სიბნელეში ფანქრით ნაწერი ვერ დაენახა და ცარიელი ჰგონებოდა.

საცოდავი მიმინო! როცა წუხელი, ტყვიდან გამოვფლისას, უბეში ხელი ჩავეყავი მის ამოსაყვანად, ტყვილებისაგან გამწარებულმა, სისხლამდე ჩაჰქიდა ბრჭყალები ხელში. ძლივს გავითავისუფლდე.

გასისხლიანებული ხელი, მიმინოს ფრთა ისე ქონდა მტკუნებდა, ტკუნდა მისი გათვლება აღარ შეიძლებოდა. ძალიან დამწვა გულმა, წყნარება, მოვლა წყალში ჩამიყარა ტყეში გატარებულმა ღამემ. აღმათ, მაშინ მოსტყდა ფრთა, როცა გონი დავკარგე.

როგორ მივეჩვიეთ ერთმანეთს! თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. როგორ იტანებოდა! ვერ გავიმეტე მოსაკლავად. ამხანაგებს ვთხოვე, მაგრამ მათაც შეეცოდათ, ვიღაც ადგილობრივი მცხოვრებლისათვის მიეცათ.

ჩვენი ყურადღება ჭუმბურის ჩექმებმა მიიპყრო. გუშინ ისინი მაღალყელიანები იყო, თემობსაც კი ფარავდა, დღეს კი დაბატარავდებოდა. ჭუმბურმა აგვიხსნა: როცა ლევანს ეძებდა ტყეში, ერთადერთი სანთელი გაუთავდა და სიბნელეში დარჩა. მეტი გამოსავალი აღარ იყო, და მოიფიქრა: ჩექმების უკლეს თანდათან ჭრიდა ფიწრო ზოლებად, რეზინს კარგად ეკიდებოდა ცეცხლი და კარგად უნათებდა გზას.

დამთავრდა ჩვენი ექსპედიცია; ექსპედიცია, აღსავსე მღელვარებით, მოულოდნელობებით. თბილისისკენ მივიჩქაროდით.

9. რეკორდი ისევ საქართველოში

თბილისში ამბავი დაგვხვდა: უკანასკნელი სპელეოლოგები, ჩვენზე ხუთი-ექვსი დღით გვიან, ყირიმის ერთ-ერთ უფსკრულში 238 მ. სიღრმემდე ჩასულიყვნენ. დაგვწუდა გული, წაგვართვეს რეკორდი? ცოტა ხნით ვიყავით მოწუენილები. მალე, ქართველი სპელეოლოგების მეორე ჯგუფმა ვ. ჯაბელაშვილის ხელმძღვანელობით, 250 მ. სიღრმეს მიადწია ტყიბულ-ძეგურულას მიწისქვეშა კალაპოტში.

რეკორდი საქართველოში დაბრუნდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღარ დანატოვებს მის ფარგლებს, საქართველო ხომ მეტად საინტერესო მხარეს წარმოადგენს ამ მხრივ. მღვიმურ სპორტს თავისი ენთუზიასტები ესაჭიროება. სპორტის ეს ახალი სახე მრავალ ახალგაზრდას მიიზიდავს. რამდენია სანახაი, გამოსაცნობი... ათხანაირად მოუღვარე დარბაზები, ჭები, უფსკრულები მოლაპარაკე კედლებით თავიანთ მკვლევარებს ელიან. მიწისქვეშა საიდუმლოებებს ფარდა უნდა ახვადოთ.

ბუიჯაჟი და-განუილ ქვეუ

ლა-მანშის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანის იდეა ახალი არ არის. 1878 წელს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა მოილაპარაკეს ლა-მანშის ქვეშ 45 კილომეტრის სიგრძის გვირაბის ერთობლივი მშენებლობის შესახებ. მალე ლა-მანშის ორივე ნაპირას ერთდროულად დაიწყო 2,14 მეტრი დიამეტრის საცდელი დერეფნის გაყვანა.


1882 წელს ინგლისელებმა მიწის-ქვეშ უკვე გათხარეს 1842, ხოლო ფრანგებმა 1839 მეტრი. მაგრამ ამ ნაწილში ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახნენ კოლონიურ საკითხებში და ინგლისის მთავრობამ გასცა განკარგულება, არა მარტო შეეჩერებინათ გვირაბის გასაყვანი სამუშაოები,

არამედ ამოეცხათ გვირაბის უკვე გაყვანილი ნაწილი.

გაიარა 75 წელმა. ინგლისმა აღიარა ევროპის კონტინენტთან პირდაპირი მიწისქვეშა მიმოსვლის დიდი ეკონომიური სარგებლობა, მაგრამ პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებები კვლავ უშლიდნენ ამ დიდი იდეის განხორციელებას.

ამჟამად ინგლისი მთელი ხმით აღაპარაკდა გვირაბის გაყვანაზე და ახლო მომავალში იქ მუშაობის დაწყებაზე. თუ გამოქვეყნებული პროექტის მიხედვით ვიმსჯელებთ, გვირაბის გაყვანის ყველა ტექნიკური ამოცანა გადაწყვეტილია. სირთულეს წარმოადგენს ამ ღონისძიების ფინანსური მხარე, რადგან წინასწარი გამოანგარიშებით, გვირაბის

გაყვანა დაჯდება 4 მილიარდ დოლარამდე. გვირაბის ამორტიზაცია და ტექნიკური შენახვა იანსაზღვრეულია 90 მილიონი დოლარით წელიწადში. განზრახულია ეს ხარჯები დაიფაროს გვირაბის გაძლიერებული ექსპლოატაციით, რომლითაც, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა, ყოველდღე ორივე მიმართულებით იმობრავებს 8-13 ათასი ავტომანქანა. გვირაბის გავლას სამულოდ 50 წუთი დასჭირდება. საფრანგეთში გვირაბის შესასვლელი იქნება ბულონში, ხოლო ინგლისში — ფოლქსტონთან. გვირაბის სიგრძე 49 კილომეტრს მიაღწევს. გვირაბის ორივე თავში გათხრილი იქნება ჭები, წყლის გაყოვნის შემთხვევაში, მძლავრი ტუმბოებით წყალი ისევ ზღვაში გადაიქაჩება.





მარი აბრამიშვილი

ნახ. რ. თორდიას

ხშირად ვფიქრობ,
ვფიქრობ, ვფიქრობ,
მეც რომ კაცი მერქვას,
რომელ საქმეს შევალიო
ჩემი გულის ფეთქვა?

რა დარგს უნდა დავუფუძლო,
რა უფრო სურს ამ გულს,
რითი უნდა ვემსახურო
ჩემ საყვარელ მამულს?

აგერ, ვიღაც ავად არის,
კაცს სიკვდილი ცელავს,
შენ კი ამ დროს ექიმი ხარ,
შეგიძლია შველა.

რა ჯობია, როცა ვინმეს
სიკვდილს გადაარჩენ,
როცა ხალხი მაღლიერი
დაგილოცავს მარჯვენს.

ან და იმას რა ხელობა
შეედრება ოდნავ,
როცა კაცი სხვას ასწავლი, —
იმდენი გაქვს ცოდნა.

რალაც ტკბილი, რალაც თბილი
გადამივლის გულზე,
ჩვენს ამაჯადარ მასწავლებელს
როცა შვებით ვუმზერ.

მაგრამ როცა ვისმენ ცაში
თვითმფრინავის გუგუნს,
ვარსკვლავებით მოციმციმე,
როს ზევს ღამის უკუნს,—

უცებ უჩინარდებიან
ჩემი ფაქრის მთები —
და დავფრინავ ლაშვარდებში
დიდი რკინის ფრთებით.

ხან კი ვფიქრობ, რომ მივბაძო
ჩემ საყვარელ მშობელს,
აგრონომი გამოვიდე,
მივაშურო სოფელს.

ვაბიბინო, ვაშრიალო
თვალუწვდენი სივრცე
და სამშობლოს შრომით უხვი
მოსავალი შივცე.

ჩვენ ქუჩაზე ახლა ღამაშ
სახლებს აშენებენ,
განუწყვეტივ მუშაობენ,
ხელს არ აჩერებენ.

ყოველ დღით გზად ჩავივლი
და იქ ნაბიჯს ვუკლებ,
სკოლის შემდეგ ამოვივლი —
სართულია უკვე.

რამდენი რამ მე მიტაცებს,
ჩამოფთვალო კიდევ?
რა ვქნა, ისევ მშენებელი
უნდა გამოვიდე.

რა ვიქნები, ვინ ვიქნები.
გვეტყვის მომავალი,
ქერ კი სწავლა, მხოლოდ სწავლა
არის ჩემი ვალი.



სვეტიცხოველი

როცა დასავლეთიდან თბილისს უახლოვდებით და საქართველოს ძველ დედაქალაქს მცხეთას ჩაუვლით, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს ერთ-ორსართულიან სახლების ფონზე ცად აღმართულმა მონუმენტურმა ტაძარმა. ეს — სვეტიცხოველია, რომელსაც პირველობას ამ დიდებულ პეიზაჟში მხოლოდ მთის ბორცვზე ამაყად შემდგარი მცხეთის ჯვარი თუ შეეცილება...

კათედრალური ტაძარი სვეტიცხოველი, გადმოცემით, აშენებულია იმ ადგილზე, სადაც IV საუკუნეში საქართველოში პირველი ქრისტიანული ეკლესია აუგიათ. ვახტანგ გორგასალის დროს, V საუკუნის ბოლოს, მის ადგილს ახალი ნაგებობა იკავებს, რომელშიაც ვახტანგ გორგასალი დაუკრძალავთ. ამ ნაგებობის ცალკეული ელემენტები შემდგომში აშენებულ ტაძარში ჩაუტანებიათ და ისინი დღესაც ადვილად განიჩნევა (ორნამენტული ქვა ტაძრის შიგნით ერთ-ერთ ბურჯთან, ხარის თავების სკულპტურული გამოხატულება აღმოსავლეთის ფასადზე და სხვ.). როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალის დროინდელმა ტაძარმა XI საუკუნის დასაწყისამდე მიაღწია. 1010 — 1029 წლებში კი აიგო ტაძარი, რომელმაც ისტორიის მანძილზე მრავალი ნგრევა-გადაკეთება განიცადა, მაგრამ თავისი ძირითადი სახე დღემდე შეინარჩუნა.

სვეტიცხოვლის აგების დრო ემთხვევა საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს, როცა ცალკეული პროვინციები თანდათან ერთ ფეოდალურ მონარქიად ერთიანდება, როცა ქვეყანა დიდი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის გზაზეა შემდგარი. ამ ეპოქის ხუროთმოძღვრებაში ნაგებობათა სიდიადე არა მარტო არქიტექტურულ მხატვრულ მიდგომაში ჩანს, არამედ საერთო მასშტაბურობაშიც, მის აბსოლუტურ ზომებშიაც.

სვეტიცხოველი სწორედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კათედრალია შუასაუკუნეების საქართველოსი, როგორც თავისი აბსოლუტური ზომებით, ისე მხატვრული განვითარების თვალსაზრისითაც.

ისტორიამ შემოინახა ტაძრის მშენებლობის ინიციატორისა და ხელმძღვანელის — კათალიკოს-პატრიარქ მეტქისე-დეკისა და ხუროთმოძღვარ არსუკისძის სახელები. ამაზე მეტყველებენ წარწერები ტაძრის ფასადებზე. ჩრდილოეთის ფასადის ფრონტონზე, დეკორატიული თაღის ქვეშ რელიეფურად გამოხატულია კაცის მარჯვენა, რომელსაც გონიო (სამშენებლო ხელსაწყო) უკავია. ლეგენდით, ეს ხუროთმოძღვრის მოკვებითი ხელია; არსუკისძე შურის მსხვერპლი გამხდარა.

სვეტიცხოვლის ფასადთა კომპოზიცია შესანიშნავი მაგალითია X საუკუნის დასასრულისა და XI დასაწყისის ქართულ არქიტექტურაში შემუშავებული მხატვრული ხერხების

გამოყენებისა. ასეთია, მაგალითად, აღმოსავლეთის ფასადი სადაც კედლის სიბრტყე ორი ღრმა ნიშითა და დეკორატიული თაღებით ირთვება. სარკმლები ორნამენტული არნიშებითაა მოჩარჩოებული. ტაძარი დეკორით მდიდარია, მაგრამ იგი თავშეკავებითა და მხატვრული ტაქტიკითაა გამოყენებული. ორნამენტი რელიეფურია, ღრმაა. ხაზის ცხოველხატული დინება, მკვეთრი ჩრდილ-სინათლე, მომრგვალებული ფორმები — დიდ მხატვრულ შემოქმედებას იწვევს. შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის არქიტექტორი სხვადასხვა ფერის ქვასაც იყენებს. ფასადთა საერთო ღია მოყვითალო-მომწვანო ფონზე ღვინისფერ, მწვანე თუ ყვითელ ქვაში ამოჭრილი დეკორატიული ელემენტები სასიამოვნო ფერადოვან აქცენტებს სწამენ.

ტაძარში შესვლისას მნახველს თვალში ეცემა მისი ერთიანი წყნარი სივრცე. მიუხედავად ნაგებობის სიდიდისა, იგი ტანადია და მაყურებელს „სიმძიმე“ არ აწვება, ტაძრის სივრცობრივი გადაწყვეტა ხაზს უსვამს ამაღლებულ განწყობას, გრანდიოზულობას.


სვეტიცხოველი, ისევე როგორც იმდროინდელი სხვა ტაძრები, მორთული იყო კედლის მხატვრობით. მართალია, XI საუკუნის მოხატვისაგან დღეს არაფერი შერჩენილია, მაგრამ მასზე მეტყველებს საკურთხევის გრანდიოზული კომპოზიცია, რომელიც ძველის მიხედვით XIX საუკუნის ბოლოსაა რესტავირებული. ამჟამად არსებული სხვა ფრესკები XVI-XVII საუკუნეებს მიეწერებათ.

სვეტიცხოველი საქართველოს ისტორიის უტყვი მოწმე იყო. მტრის მიერ დანგრეული, იგი მრავალჯერ აღუდგენიათ და ამის კვალი ახლაც სგრძნობია. განსაკუთრებით დაზიანდა ტაძარი თემურ-ლენგის შემოსევის დროს, XV საუკუნის ბოლოს. XV საუკუნის კაპიტალურმა რემონტმა განსაკუთრებით შეცვალა ტაძრის დასავლეთი მხარე. შეკეთების შედეგა გუმბათის ყელის ახლანდელი სახეც.

სვეტიცხოვლის თავდაპირველი სახის წარმოსადგენად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ორივე გრძივი ფასადის გასწვრივ ღია თაღოვანი გალერიის არსებობა, რომლებიც სიძველის გამო დანგრევასაა მისული, გასული საუკუნის 30-იან წლებში მოაცილეს ტაძარს.

მიუხედავად ამ გადაკეთებებისა, სვეტიცხოველი დღესაც გვხიბლავს თავისი მხატვრული მთლიანობით. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელიც ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნებისა და არქიტექტურის მაღალ დონეზე მეტყველებს.

ნოლაკ ჯანაშიძე





საბჭოთა თბილისი



როცა დანიელ დგომ „რობინზონ კრუსოს თავგადასავალი“ გამოაქვეყნა, მან ეს რომანი „იორკელი მეზღვაურის“ ნამდვილ ჩანაწერებად გაასაღა, ხოლო საკუთარ თავს ამ ჩანაწერების მხოლოდ უბრალო გამომცემელი უწოდა. პირველ ხანებში მწერალს ყველამ დაუჭერა. იმ დროს მართლაც ბევრს ჰყავდა ნანახი ისეთი ადამიანები, რომელთაც რამდენიმე წელი ჰქონდათ გატარებული უკაცურ კუნძულებზე. ასეთი იყო, მაგალითად, შოტლანდიელი მეზღვაური შელიკი. იგი გემის კაპიტანმა ურჩობისათვის დაუსახლებელ კუნძულზე მიატოვა და იქ მან ოთხი წელი გაატარა სრულიად მარტოდ-მარტომ.

არქტიკასაც ჰყავდა თავისი რობინზონები, მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც ყველაზე მკაცრ განსაცდელს გაუძლეს ამ მარად ყინულოვან მხარეში.

1748 წელი იყო. ერთ-ერთი რუსული ხომალდი შიპიბერგენის ნაპირებისაკენ მიემართებოდა სარეწად მოულოდნელად იგი კუნძულ ოსტ-შიპიბერგენის ახლო ყინულებში გაიჭედა. ოთხი მეზღვაური დაუყოვნებლივ გადავიდა კუნძულზე, რათა მოენახათ იძულებითი გამოწამობისათვის შესაფერი ადგილი. კარგა ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს მრეწვეათვის აშენებული პატარა ქოხი. მაგრამ როცა იგემისაკენ გამობრუნდნენ, მეზღვაურებს იქ თავზარდამცემი ამბავი დახვდათ: ულმობელ ქარიშხალს ხომალდი ნაპირიდან შორს, ზღვაში გაეტაცა. დარჩნენ მეზღვაურები ღრმა თოვლით დაფარულ, გაყინულ მიწაზე, სადაც უბრალო ჭაგიც კი არ ხარობს, სადაც რამდენიმე თვე არა ჩანს მზე, რის გამოც ყოველივე წყავლია-დიოთა დაფარული, მძვინვარებს ყინვა და ქარბუქი.

თოფი, — 12 ცასროლის მარაგით, ცული, პატარა ქვაბი, 8 კილოგრამი უქვილი, ტალკეცი და ვერცხლისწყალი, დანა,

თამბაქო და 4 ჩიბუხი, — აი, ყოველივე ის, რაც მეზღვაურებს თან წამოედგოთ ხომალდიდან. ასე დაიწყო არსებობისათვის მათი ბრძოლა, რომელმაც ექვს წელზე მეტ ხანს გასტანა.

როცა ტყვია-წამალი გაუთავდათ და მოკლული ირმების ხორცი მთლიანად შეიჭამა, მეზღვაურთა წინაშე შიმშილით სიკვდილის აჩრდილი აღიმართა. მაგრამ ისინი გულბუნდაკრფილნი როდი დალოდებია ალსასრულის დღეს. რკინის ნაჭრებისაგან პრიმიტიული სამჭედლო გამართეს, ხოლო ირმის ორი რქისაგან მარწუხი დაამზადეს, რის შემდეგ შუბები და შურღულეები გააკეთეს, რომელთა საშუალებითაც თეთრი დათვი მოკლეს. ახლა მათ არა მარტო საკვები გაუჩნდათ, დათვის ძარღვებისაგან მშვილდისისათვის ლარი დაგრიხეს, ხოლო მშვილდისარი გააკეთეს ნაპირზე გამოიყუდი ხის ფსევებისაგან. მშვილდისრიტ მეწამორეებმა 250 ირემი, მრავალი მელა და 10 თეთრი დათვი დახოცეს. მეზღვაურები იკვებებოდნენ ირმისა და დათვის უმი, გაყინული ხორცით, უპუროდ და უმარილოდ, სვამდნენ ირმის თბილ სისხლს, სურავნდით რომ არ დაავადებულიყვნენ, ჰამდნენ რაც შეიძლება მეტ ნედლ ბალახს. საცვლების ნაჭრებისაგან დაგრებილი პატარუქებისა და ქონით სავსე თიხის ჭურჭლების საშუალებით მუდამ ენთოთ ციკვბლი. კუნძულზე ცხოვრების მეთქვე წელს ერთი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენები, რომელთაც სამშობლოში დაბრუნების იმედი უკვე სრულიად დაკარგული ჰქონდათ, მალე წამოიყვანა შინ რუსულმა ხომალდმა.

ვკასუსოგთი შეჯიოხვეშე

რედაქციაში შემოსულ წერილებში, ბევრი პიონერი გვთხოვს განვუმარტოთ როგორია ჩვენი პლანეტის აგებულება, რას დავინახავდით, დედამიწის სიღრმეში ათასკილომეტრიანი სიღრმის ჭის გათხრა რომ შეიძლებოდა.

დედამიწა მხარის სხეულია

ეს საკითხი დიდი ხანია აინტერესებთ მეცნიერებს. მაგრამ როგორ უნდა მიახედოს ადამიანმა დედამიწის გულში? მართლა ხომ ვერ ამოთხრიან ასეთი წარმოუდგენელი სიღრმის ჭის. ცნობილია, რომ ყველაზე დიდი სიღრმის ჭაბურღილები 5 კილომეტრს არ აღემატებიან. ეს კი დედამიწის საერთო მოცულობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. ასე რომ, ადამიანს

თავისი თვალთ შეუძლია ნახოს დედამიწის ქერქის მხოლოდ თხელზე-თხელი ფენა. რაც უფრო ღრმად ჩავდივართ მიწის გულსკენ, მით უფრო მატულობს ტემპერატურა. ვულკანები, მიწის წიაღიდან ამოხეთქილი ცხელი წყლები — ჰეიზერები ამის კარგი დამაბტკიცებელი საბუთებია. დავკვირვებებმა, რომლებიც ღრმა შახტებში სწარმოებდა, დამატკიცა, რომ პირველად ტემპერატურა ყოველ ას მეტრზე 3 გრადუსით იზრდება, შემდეგ კი უფრო ნელ-ნელა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ დედამიწის გულში ტემპერატურა ხუთათას გრადუსამდე აღწევს. რომელი მეტალი არ გადნება ასეთ ტემპერატურაზე! აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მიწის თხელ გარსზე, რომლის შიგნით, თითქოს, გამლღვალი მაგმის ოკეანე თუხთუხებს. მაგრამ აქ ავიწყდებოდათ, რომ დედამიწის გულში უზარმაზარი წნევაა, მილიონჯერ მეტი, ვიდრე ატმოსფეროს წნევა. ეს ფანტასტიური წნევა ხელს უშლის ქანების გაღვობას და მათ თხევად მდგომარეობაში გადასვლას. ახლა უკვე კარგად არის ცნობილი, რომ

დედამიწა მთლად მყარი სხეულია, მისი სიმკვრივე დაახლოებით ფოლადის სიმკვრივის უდრის. მაგრამ, საკმარისია დედამიწის ქერქზე გაჩნდეს ოდნავი ბზარი, რომ იმ ადგილზე წნევა შემცირდეს და ბზარიდან ამოხეთქოს გამლღვალმა ლავამ. დედამიწის სიღრმეში სხვადასხვა შემადგენლობის ქანებია. პირველი ფენა ძირითადად სილის, ლორღის, თიხისა და კირქვისაგან შედგება. ეს ფენა დაახლოებით 10-15 კილომეტრის სისქისაა. შემდეგი ფენა გრანიტების ფენაა. მისი სისქე თანაბარი არ არის, კონტინენტის ქვეშ იგი უფრო სქელია. მას შემდეგ უკვე ბაზალტის ქანები იწყება, მისი სისქე 20-40 კილომეტრია. ეს სამი ფენა ერთად, დედამიწის ქერქად იწოდება. შემდეგ მოდის მთის მძიმე ქანები, პერიოდების და მეტალების ფენა. და ბოლოს, 8000 კილომეტრის შემდეგ იწყება დედამიწის ცენტრი ანუ ბირთვი. ეს ბირთვი ძირითადად რკინისა და ნიკელისაგან შედგება. თუ გავიხსენებთ, რომ ეს ბირთვი უზარმაზარი ზომისაა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ დედამიწის ორი მეხუთედი რკინისაგან შედგება.

ბიჭები

ა. ალიოხინის ბრწყინვალე პარტი

არიან ბიჭები, რომლებსაც აგონიათ უკვე დავვატყავდითო, და წვერის გასაპარსად დაბრძანდებიან.

ერთხელ, ერთი ასეთი ყმაწვილი სადალაქოში შევიდა. დალაქმა მკერდზე წინსაფარი გაუკეთა, ნაზ, ახლად-შეღინღლულ სახეზე საპონი წაუსვა, რატოვაც ასე, კარებისკენ გაემართა და ამხანაგებს მასლაათი გაუბა.

ბიჭმა ითმინა, ითმინა და ბოლოს შეჰყვირა:

- რას უცდით ამდენ ხანს?!
- ვუცდი, როდის გაგებრდება წვერი! — მიუგო დალაქმა.

გზაჯვარედინზე ველოსიპედისტი შეჩერდა, ბნელი ღამე იყო, არ იცოდა რომელი გზით წასულიყო. უცბად მაღალი ბოძი შენიშნა, ზედ თეთრი ქალაქი იყო გაკრული. იგი აცოცდა ბოძზე, ასანთი ამოიღო, გაჰკრა და შემდეგი სიტყვები წაიკითხა:

— ფრთხილად, შტლებილია!

ორმა ინგლისელმა დარვინის მეგობარმა ბიჭმა გადაწყვიტა ოინი მოეწყობოთ დიდი ნატურალისტისათვის. დაიჭირეს ხოჭო, პეპელა, კუტიკალია, ცხრაფება და ამ მწერებისაგან ახალი, უცნაური მწერი შეადგინეს. აიღეს პეპელას ფრთები, კუტიკალიას ფეხები, ხოჭოს თავი და ცხრაფებას სხეულს შეაწყებეს. ბიჭებმა უცნაური მწერი კოლოფში ჩასვეს და დარვინის კარს მიუკაკუნეს.

— მინდორში დავიჭირეთ, შეგიძლიათ გვითხრათ რა მწერია?! — ჰკითხეს ბიჭებმა.

დარვინმა ჯერ მწერი შეათვალიერა, შემდეგ ბავშვებს გადახედა და ღიმილით იკითხა:

- ბზუოდა, როცა დაიჭირეთ?
- დიახ! — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა და მუჯღუგუნე წაჰკრეს ერთმანეთს.

— ჰოო, მაშ, არაფერი ყოფილა!!!

ერთხელ მსოფლიო ჩემპიონს ალექსანდრე ალიოხინს ჰკითხეს:


— პატივცემულო გროსმაისტერო! თქვენს მდიდარ სატურნირო პრაქტიკის მანძილზე 1.500-ზე მეტი სერიოზული პარტია გითამაშიათ. გვიანტერესებს, რომელი მათგანი მიგაჩნიათ ბრწყინვალედ.

— მხოლოდ ორი, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა. — ერთი ჩემ გროსმაისტერ რ. რეტისთან მოგებული 1925 წელს ბადენ-ბადენის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო მეორე — ჰასტინგის 1922 წლის ტურნირში, მოგებული გროსმაისტერ ე. ბოგოლიუბოვთან.

მართლაც ამ ორ პარტიაში ბედნიერი შემთხვევით თავმოყრილია გენიალური მოჭადრაკის ბრწყინვალე შემოქმედების ყველა მხარე.

გავეცნოთ თვით ალიოხინის შენიშვნებით პარტიას რ. რეტისთან, მისი კულმინაციურ მომენტიდან.

ა. ალიოხინი



რ. რ ე ტ ი

26. ... ეე3!

თითქმის წარმოუდგენელია, რომ ეტლის ეს ეფექტური სვლა თეთრების იერიშის ჩახშობასთან ერთად მათ სერიოზულ სიძნელეებსაც უქმნის. და ეს მაინც ასეა. საესეებით ნათელია, რომ არ შეიძლება ეტლის აყვანა 27. ...ლ:გ3+ გამო შემდგომი

28. ...მ:გ3 შავების გამარჯვებით. ამავე დროს თეთრებმა რაიმე უნდა იღონონ 27. ...ე:ფ3+ მუქარის მოსაგერიებლად.

27. მფ3
როგორც პარტიის შემდგომი მსვლელობა ცხადყოფს, ეს ბუნებრივი სვლა ფორსირებულად აგებს. არ იყო საკმარისი აგრეთვე 27. მფხ2, 27. ...ეაგ3! 28. მეხ3 (მაგრამ არა 28. ფე; 28. ...მ:ე3 შემდგომი მფ1+ გამო 28. ...ლენ! 29. ხე ხე მძღავრი იერიშით, რადგან 30. ფე მაინც ცუდია 30. ...ლხ5+ და 31. ...ლხ3 გამო.

გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო 27. კფ3! კფ3; 28. ეფ! ეხ; 29. მ:ხ5 ლა5! მაგრამ შავები მაინც ინარჩუნებენ უპირატესობას, რადგან 30. ე:ძ5 მყისვე აგებს 30. ...ეე1+ 31. ე:1+ ლ:ე1+ გამო შემდგომი 32. ...ეა1.

27. ...ეხ 28. ლ:ხ5 მე3! 29. ლ:ხ7 (29. ლე4 შემთხვევაში პასუხი 29. ..ხ5! იქნებოდა გადამწყვეტი). 29. ...ლ:ხ7 (მაგრამ არა 29. ...მ:ე2+ 30. ე:ე2 ლ:ხ7 31. ე:ე3! გამო თეთრებისათვის საყარმო შანსებით) 30. მ:ხ7· მ:ე2+ 31. მფხ1 მე4!

ახალი კომბინაციის დასაწყისი, რომელიც წინა მანევრების ლოგიკური შედეგია. მისი ამოცანაა პრაქტიკულად გარდუვალ სვლათა სერიით მოვიგოთ თავის ბაზას მოცილებული მხედარი ხ7. ეტლი ე3 ჯერ კიდევ მიუკარებელია, რადგან 34. ფე? მოყვება მ:ძ2 ხარისხის მოგებით.

32. ეე4 მ:ფ2 33. კგ2 კენ! 34. ეე2 მგ4+ 35. მფხ3 მე5+ 36. მფხ2 ე:ფ3 37. ე:ე2 მგ4+ 38. მფხ3 მე3+ 39. მფხ2 მ:ე2 40. კ:ფ3 მძ4.

თუ ახლა 41. ეე3, მაშინ 41. ...მ:ფ3+ 42. ე:ფ3 კძ5! ფიგურის მოგებით. ამიტომ თეთრები დანებდნენ.

პოკლეტ

ყვარაფერზე



4.000 ჟღის ურემი

1958 წლის ზაფხულს, ქართველმა მეცნიერებმა სამხრეთ საქართველოში, ტაბაწყურის ტბის სანახებში, ყორღანული მალღობების გათხრის დროს აღმოაჩინეს მსოფლიოში უძველესი ურემი. ეს ნამდვილი ურემია, აქვს ხელნები, თვლები, ღერძი, რომელიც უძრავია, მოძრაობს მხოლოდ თვლები.

მაიმუნი — ველოსიპედისტი

1898 წელს ქალაქ ვენაში ერთ კაცს ჰყავდა მაიმუნი, რომელიც პატრონს ხშირად ქუჩებსა და მოედნებზე დაჰყავდა. აქ მაიმუნი უცქერდა ახალგაზრდებს, რომლებიც ველოსიპედებს დააქროლებდნენ. მაიმუნმა, რომელსაც ადამიანების მოქმედებისადმი მიზაძვის იშვიათი უნარი ჰქონდა, სულ მალე შეისწავლა ველოსიპედით სიარული. პატრონმა მას ველოსიპედი მისცა, მაიმუნი სწრაფად მოახტა და გააქროლა, მალე უკან მობრუნდა და გადმოხტა, შემდეგ კვლავ შეხტა, ისევ გადმოხტა და ტაში დაუკრა. როდესაც ხალხმა ცაში დაუკრა, ველოსიპედს მოახტა და გააქროლა.

არწივების თავდასხმა ფოსტალიონში

ინგლისში ერთ ფოსტალიონს, გვარად ბონტს, რომელსაც წერილების ზურგანთა ეკილა, უეცრად თავს დაესხა ორი არწივი. არწივები ცდილობდნენ ფოსტალიონს წაეჭვათ და ჩანთა მოეტაცათ. ბონტს ხელში რკინის ჯოხი აღმოაჩნდა და იმით იგერიებდა არწივებს. დაღლილ ფოსტალიონს კიდევ ორმა არწივმა შემოუტია. ოთხი არწივი უტევდა ბონტს, მაგრამ იგი გულმაგარი და გამბედავი აღმოჩნდა. ჯოხის დარტყმით ერთი არწივი ძირს დასცა, რომელიც ახლო მივიდა და ცდილობდა გულში ნისკარტი ჩაეკრა. მამაცმა ფოსტალიონმა დანარჩენი სამი არწივიც მოიგერია.

20 წლიწადი წვიმის გარეშე

შორეთული აფრიკის ერთ ნაწილში, რომელსაც ყადი-ხალიფაში ეწოდება, მეცნიერული შემოწმებითა და გამოანგარიშებით, უკვე ოცი წელიწადი გავიდა, რაც წვიმა არ მოსულა. ეს ადგილი მთელ დედამიწაზე ყველაზე მცირე ნალექებით გამოირჩევა.

1.400 ოთახიანი სახლი

ქალაქ ვენის გარეუბანში. რომელსაც ვინი ეწოდება, მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებობდა ერთი დიდი სახლი, რომე-

ლიც 1.400 ოთახისაგან შედგებოდა. ამ სახლში სულ 400 ბინა იყო, თითო ბინაში — 3-6 ოთახი; ამ სახლში ცხოვრობდა 2.112 სული ადამიანი.

მიკრობები — ციცხლისგამაღებლები

ერთხელ დიდი საოკეანო ხომალდი ევკობტიდან ინგლისისაკენ მიემართებოდა. ტრიუმები ბამბის ბარდანებით იყო გატე-



ნილი. უეცრად ხომალდზე დამწვრის სუნი დატრიალდა და ციცხლის ვეება ენები ავარდა.

რა იყო ამ უბედურების მიზეზი? იქნებ დაუდევრად გადაგდებული წუმწემა? არაფერი ამის მსგავსი! ბამბა თვითონ გახურდა და ააღდა, ამის გამოწვევი კი იყვნენ უმცირესი ცოცხალი ორგანიზმები — მიკრობები.

თვითგახურება ხშირი მოვლენაა ბუნებაში. ეს აიხსნება იმით, რომ ცოცხალ ორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლა და გარდაქმნა ყოველთვის დაკავშირებულია ენერგიის გამოყოფასთან. თუ სითბო გარეთ არ გამოიყოფა, იგი გროვდება ხრწნად მასაში და იწვევს მასში ტემპერატურის აწევას.

ადამიანები თავის სასარგებლოდ იყენებენ ამ მოვლენას, მაგალითად, ტყავის დამუშავებელ ქარხნებში ტყავის გასაწმენდად, ნაკელით სთბურების გათბობის დროს და სხვ.

საინტერესოა, რომ თვითგახურება ცხოველების მიერაცაა „გამოყენებული“. ავსტრალიური შავი ქათმები თვით კი არ ჩეკავენ წიწილებს, ისინი კვერცხებს მარხავენ ლპობადი ფოთლებისა და ტოტების გროვაში. იქ, თვითგახურების პროცესის

წყალობით, კვერცხები თვითგახურების ტორშია მოთავსებული. ქათამს მხოლოდ ისლა დარჩენია, რომ „თვალყური ადევნოს“ „ინკუბატორის“ მუშაობას. თუ ტემპერატურა ფოთლების გროვაში მეტისმეტად აიწვევს, ქათამი მას ფეხებით გადაქეპავს; ხოლო თუ კვერცხს სითბო არ ჰყოფნის, მაშინ ფოთლებს მეტს დააყრის. ამრიგად, კრუხის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ მიკრობები.

ბაქტერიები ვირუსების წინააღმდეგ

ცნობილია, რომ ავადმყოფობის გამომწვევ ვირუსებს უნარი აქვთ, მოსპონ მიკრობები. მაგრამ ახლახან აღმოაჩინეს ერთი ბაქტერია, რომელიც თვითონ ანადგურებს ვირუსებს. ამ აღმოჩენით მედიცინის წინაშე ვირუსული დაავადებების წინააღმდეგ ახალი უდიდესი გზა გამოჩნდა. შესაძლებელია, ეს ბაქტერია წინასწარ იქნეს შეყვანილი ორგანიზმში და იგი თავისთავად, ავადმყოფობის დაწყებისთანავე „გაუსწორდებო“ დამავადებელ ვირუსს.


ცოტაა თუ ბევრი?


ყოველთვის სწორად განვსაზღვრავთ თუ არა რაიმე პროცესის დროს დახარჯული ენერგიის რაოდენობას?

ვთქვათ, ღუმელზე დავდგით ჩაიდანს. სულ რაღაც ოციოდე წუთში წყალი ადუღდება და ჩაი მზად არის. თითქმის უბრალო რამ არის, არა?

მაგრამ ავიღოთ მეორე მაგალითი: მენს სართულზე ააქვთ ფოლადის ცეცხლგამძლე ყუთი, რომელიც 300 კილოგრამს იწონის. ხუთი კაცი კუნთების მთელი დაძაბვით ცდილობს ამ მძიმე სამუშაოს შესრულებას. ხომ შეუდარებლად მეტი ენერგიაა დახარჯული, ვიდრე პირველი მაგალითის დროს?

მაგრამ გამოანგარიშებებმა აჩვენა, რომ პირველ შემთხვევაში გაცილებით მეტი ენერგია იხარჯება. ორლიტრიანი ჩაიდნის ახადუდებლად იმდენი ენერგია იხარჯება, რომელიც სრულიად საქმარისა ოცსართულიანი სახლის სახურავზე ატანილი იქნეს სამასსამასი კილოგრამი წონის სამი ფოლადის ყუთი.





ბორიზონტალურად: 4. ქალაქი საქართველოში; 7. ფშველების მთავარი სალოცავი; 8. განსაზღვრული ნორმა; 10. ქიმიური ელემენტი; 11. ჭადრაკის ფიგურა; 13. სპორტული ჯილდო; 15. ცნობილი ბალეტმეისტერი; 17. პოლიტიკური გა-

ერთიანება; 19. ნავის სამართავი ხელსაწყო. 22. ქართული გმირი კომკავშირელი ქალის სახელი; 23. ქიმიური ელემენტი; 24. ფრინველის ბინა; 25. მთავრობის მიერ პიროვნებისათვის მიცემული ნებართვა სათანადო სა-

ხელმწიფოში შესასვლელად ან იქედან გამოსასვლელად; 27. მდინარე ევროპაში; 30. შექსპირის ტრაგედია; 31. ძველი ქართველი ხუროთმოძღვარი; 32. ხილი; 33. ქართული ფანტასტიური ნაწარმოების სახელწოდება.

ვერტიკალურად: 1. საქართველოს ძველი სახელწოდება; 2. დარგომიუსკის ოპერა; 3. სამკურნალო მცენარე; 5. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 6. გეოგრაფიული რუკების კრებული; 9. სამკურნალო დაწესებულება; 12. უბანი ძველ თბილისში; 13. საოჯახო ჭურჭელი; 14. ქართველი კომპოზიტორი; 16. სამოქმედო ასპარეზზე პირველად გამოსული; 18. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები; 19. ცვარი, ანუ... 20. გამამხოლავებელი; 21. მცენარე; 26. მოსავლის აღების დრო; 27. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა; 28. ბევრათა თანაფარდობა ლექსში; 29. ვიტამინებით მდიდარი მცენარე.

შარაღა
საქართველოს ქალაქია, არის ახლად ნაგები, ამშვენებენ ქარხნები და თვალწარმტაცი ბაღები — შარადისთვის ჩვენ ამ სიტყვის მხოლოდ ფუძე გვჭირდება. მეორე სულ ადვილია, არც ის ვაგიჭირდება: ხან მწვანეა, ხან კი თეთრად გააქვს ხოლმე ქათქათი, გაშლილია როგორც ნოხი, მნათობები დანათის. მოაკელი წინა ბგერა, რიგით შეკრებ მანამდის, რა სახელიც გამოვივა პასუხია შარადის — გენიოსი მწერალია, მსოფლიოში განთქმული, ნათარგმნია ბევრ ენაზე მისი წიგნი ქართული.

შ. ამირანაშვილი

გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

1. ზურგზე ტახტი ადგია, კულს და კისერს ვარცხნიან, პირში რკინა უჭყრია, ფეხზეც რკინა აცვია.
2. რკინას მიწაშიც ვიპოვნე, თუმცა თვალებს არ ვაცეცებ, მე საოცარი რკინა ვარ, ვიტაცებ რკინის ნამცეცებს.


გ. წერეთელი

კ ა ს უ ხ ი

პ რ ო ს კ ო რ დ ი

ბორიზონტალურად: 3. სპა; 5. ონი; 6. „ალი“; 14. ახო; 16. არა; 17. ენა; 18. ანი.
ვერტიკალურად: 1. „თეო“, 2. სვირი; 3. საჩხა; 4. ატბ-პი; 7. მახრა; 8. ონისე; 19. პიტნა; 10. აჭარა; 11. სკა; 12. მკა; 13. ინი; 15. ოდა.

ა ზ ა ს ც ა ჟ ე ო !



თქვენს წინაშე მოცემულია ფიგურა, საჭიროა დასკრათ და დააღაგოთ იგი ისე, რომ მიიღოთ კვადრატი.

შეადგინა თბილისის 51-ე საშ. სკოლის V-კლ. მოსწ. ლ. ჭანთარაძემ.

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — გ. რიონიშვილისა; გარეკანის მე-4 გვერდზე — სემეტიცხოველი, ნახ. გ. ჯაფარიძისა.






ქართული
ლიბრთეკა

ნახაში

სუპრობები


ნახ. ედ. ამბოჯაძისა



6^{III}/2025

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

გვ. 8



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური